პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო

ფასი 10 კაპ.

ხუთშაბათი,
8
ოქტომბერი
1936 წ.
№ 233 (4732)

დღეს გაზეთში:

- — თანამგრძნობნი და კომკავშირი—პარტიის რეზერვია („პრავდის" მოწინავე).
- — საქ. სახკომსაბჭოს დადგენილება მოსახლეობის საკავშირო აღწერის შესახებ.
- — ვალ. ბაბუნია — მეტალურგის კერა გუგუნებს (ფელეტონი).
- — ვალ. ლუარსაბიძე — რუსთაველის მსოფლმხედველობისათვის (ფელეტონი).
- — პროფ. ალ. შუშანია — საქ. მეანგინეკოლოგთა II ყრილობა.

უცხოეთში:

- — ესპანეთის კომპარტიის ც. კ-ის მოწოდება.
- — მდგომარეობა ესპანეთის ფრონტებზე.
- — მეამბოხეები სასკდომ ტყვიებს ისვრიან.
- — იტალიელთა დახმარება ესპანეთის ფაშისტებს.
- — გარდაიცვალა უნგრეთის პრემიერი გემბეში.

თანამგრძნობნი და კომკავშირი —პარტიის რეზერვია

ჩვენმა პარტიამ, კაცობრიობის უდიდესი ადამიანების — ლენინისა და სტალინის მიერ გამოზრდილმა, სოციალიზმისათვის ბრძოლაში მძიმე და რთული გზა განვლო. ცარიზმისა და მისი ოპრიჩნიკების იერიშები, ბურჟუაზიისა და მემამულეთა სიცრუე, კოლჩაკისა და დენიკინის შეიარაღებული თავდასხმანი, ინგლისისა და საფრანგეთის შეიარაღებული ჩარევა ას ხმაზე მეტყველი ბურჟუაზიული პრესის სიცრუე და ცილისწამება, — ყველა ეს უბედურება განუწყვეტლივ თავს ატყდებოდა ჩვენს პარტიას მთელი საუკუნის მანძილზე", — ამბობდა ამხანაგი სტალინი ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ახალ გათხრილ სამარესთან. მას შემდეგაც, მთელ სტალინური ეპოქის ყველა წლის განმავლობაში ცოტა სასტიკი ბრძოლების გადატანა როდი მოუხდა პარტიას საერთაშორისო იმპერიალიზმთანაც, მტრული კლასების ნაშთებთანაც ჩვენი ქვეყნის შიგნით, ფაშიზმის საზიზღარ აგენტებთანაც — ტროცკისტულ-ზინოვიევურ ჯაშუშებთან და დივერსანტებთან.

მაგრამ არასოდეს, ერთხელაც კი არ შემდრკალან ბოლშევიკთა რიგები. ჩვენი პარტია სალ კლდესავით იდგა და დგას, იგი იგერიებს მტრების ურიცხვ იერიშებს, მიუძღვის საბჭოთა ხალხს ახალ-ახალ გამარჯვებისაკენ და ამაგრებს საერთაშორისო პროლეტარიატის სამშობლოს. რაც უფრო ძლიერ ცოფდებიან მტრები, რაც უფრო ბინძური და უფრო საზიზღარია მათი ბრძოლის მეთოდები, მით უფრო კაჟდებიან ბოლშევიკები, მით უფრო მედგარია მათი რევოლუციური კვეთება.

იმისათვის, რომ მძიმე განსაცდელნი გადაგვეტანა, რომ მოსისხლე მტრების გარემოცვაში გვემუშავნა, გამარჯვება გამარჯვებაზე მოგვეპოვებინა, ჩვენი ქვეყნის ხალხნი ერთიან კოლექტივად შეგვედუღებინა, — ამისათვის საჭირო იყვნენ განსაკუთრებული წყობის ადამიანები. ეს ადამიანები არიან კომუნისტი ბოლშევიკები, რომელთაც საფრთხისა არ ეშინიათ და რომელთათვის უცხოა შიში ბრძოლაში. მთავარი, რაც ამ ადამიანებს ახასიათებს, — ეს არის თავდადებული ერთგულება რევოლუციური საქმისადმი, მაღალი იდეურობა, მიზნის სიცხადე, და რწმენა როგორც თავისი საქმის სიმართლისა ისე მისი საბოლოოდ გამარჯვებისა.

რამდენიმე კვირის შემდეგ პარტიული ორგანიზაციები დაიწყებენ ახალ წევრთა მიღებას საკ. კ. პ. (ბ)-ში. ამასთან დაკავშირებით ბევრგზის დიდდება მთელი პარტიულ-ორგანიზაციული და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის ამოცანები. ამავე დროს კი, მოიპოვებიან ისეთი პარტიული მუშაკნი, რომელნიც ფიქრობენ, რომ ახლა, პარტიულ დოკუმენტთა შემოწმებისა და გამოცვლის შემდეგ, მთელი ყურადღება მხოლოდ პარტიაში მიღებას უნდა მიექცეს. ისინი მზად არიან მიავდონ შიდაპარტიული მუშაობა. ისინი ვერ ამჩნევენ, რომ მათთან ორგანიზაციაში ასობით ადამიანები პოლიტიკურად უცოდინარნი არიან, რომ თანამგრძნობებთან და კომკავშირთან მუშაობა სრულიად არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული.

აუცილებელია ახლავე გავაფრთხილოთ ყველა პარტიული ორგანიზაცია სულ ოდნავი აჩქარების, უნიადაგო ბიუროკრატიული წამოწყების, მიღების კამპანიათა წინააღმდეგ. დიდი ზრუნვა პარტიის სიწმინდეზე, სტალინური სიფხიზლე მიღებისას, ინდივიდუალური შერჩევის სასტიკი პრინციპი, — აი, რით უნდა განიმსჭვალოს თვითეული პარტიული მუშაკის მუშაობა.

უმნიშვნელოვანეს, სერიოზულ რეზერვს საკ. კ. პ. (ბ) რიგების შესავსებად წარმოადგენენ თანამგრძნობნი და კომკავშირელნი. ეს ადამიანები ყველაზე უფრო ახლოს დგანან პარტიასთან. სხვა აქტივისტებთან შედარებით, მათ უკვე აიწიეს ერთი საფეხურით, ისინი ითვისებენ ორგანიზებულობისა და პარტიული დისციპლინის ჩვევებს. მათ, როგორც წესი, უფრო მაღალი პოლიტიკური დონე აქვთ. პარტიაში მიღების განახლება უნდა აღინიშნოს თანამგრძნობთა ჯგუფებისა და კომკავშირის მუშაობის მკვეთრი გაუმჯობესებით.

სამწუხაროდ, ბევრ პარტიულ ორგანიზაციას დღემდე ვერ გაუგია თანამგრძნობთა ჯგუფების უდიდესი მნიშვნელობა, ვერ გაუგიათ, რომ მათი მუშაობის მდგომარეობაზე ძალიან ბევრად არის დამოკიდებული იდეური დონის ამაღლება და მასებთან პარტიის კავშირის გაძლიერება.

ოდესის ორგანიზაციაში ზოგიერთნი იგონებენ „ათდღიურებს", უკვე სახავენ ადამიანებს პარტიაში მისაღებად, მაგრამ არ ეწევიან ოდნავ მაინც სერიოზულ მუშაობას თანამგრძნობებთან, არ იჩენენ აუცილებელ ზრუნვას ამ უმნიშვნელოვანეს რეზერვზე. აქ ძალიან ხშირად მექანიკურად შეჰყავთ ადამიანები თანამგრძნობთა ჯგუფებში, ხოლო არ აბამენ მათ პარტიულ მუშაობაში, არ ასწავლიან მათ. კიდევ უფრო არასახარბიელო სურათია ივანოვოს საქალაქო ორგანიზაციაში. აქ გადასწყვიტეს საერთოდ თავი არ შეიწუხონ თანამგრძნობებთან მუშაობით. ორგანიზაციაში 10 ათასი კომუნისტია. 60 ათასი მუშა და მხოლოდ... 900 თანამგრძნობი.

თუ პარტიულ ორგანიზაციათა უმოქმედობით, საქმისადმი ქარაფშუტული დამოკიდებულებით არა. სხვა არაფრით შეიძლება აიხსნას სრულიად არადამაკმაყოფილებელი მუშაობა თანამგრძნობებთან. მრავალი ორგანიზაციისათვის დამახასიათებელი ძირითადი მანკი იმაში მდგომარეობს, რომ ძალიან ხშირად თანამგრძნობებთან მუშაობას პოლიტსწავლებით განსაზღვრავენ, მათ თავს ულაყებენ განყენებული მწიგნობრული საბრძნით და ფიქრობენ, რომ მათ ბოლშევიკურ თვისებებს უნერგავენ.

ცნობილია, რომ ადამიანი იზრდება, აღზრდას იღებს, ორგანიზაციულ ჩვევებს და დისციპლინას იძენს უწინარეს ყოვლისა პრაქტიკულ მუშაობაში. ამიტომ თანამგრძნობებსაც ბოლშევიზმი ბოლშევიკური საქმეებით უნდა ვასწავლოთ, ისინი უნდა ჩავაბათ კონკრეტულ პარტიულ მუშაობაში და გამოვაწრთოთ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში.

საჭიროა თვალსაჩინოდ გაუმჯობესდეს იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობაც. მეტი სიცოცხლე და რევოლუციური მგზნებარება პროპაგანდის საქმეში! აღავსეთ პოლიტსკოლები ეფექტიური ბოლშევიკური პროპაგანდით, დასხით თანამგრძნობნი ჩვენი პარტიის ისტორიის შესასწავლად, უზრუნველყავით ისინი ხელმძღვანელობითა და კვალიფიციური პროპაგანდისტებით! მაშინ წარმატება უზრუნველყოფილი იქნება, ადამიანები დაიწყებენ სერიოზულად სწავლასა და ზრდას.

საჭირო არ არის იმის მტკიცება, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს ლენინურ კომკავშირს, როგორც უაღრესად სერიოზულ რეზერვს საკ. კ.პ. (ბ) რიგების შესავსებად. კომკავშირი მოწინავე საბჭოთა ახალგაზრდობას აერთიანებს. მის რიგებში იზრდებიან ადამიანები, რომლებიც სოციალიზმის პირობებში ყალიბდებიან. პარტიაში მიღების განახლება მოითხოვს კომკავშირის მიმართ პარტიული ხელმძღვანელობის გადაჭრით გაუმჯობესებას, იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის ამაღლებას და უწინარეს ყოვლისა კომკავშირის აქტივს შორის. მაგრამ, წინააღმდეგ ბოლშევიზმის ყველა ტრადიციისა, ბევრი პარტიული ორგანიზაცია არ იჩენს აუცილებელ ზრუნვას კომკავშირზე, არ არის დაინტერესებული კომკავშირის აქტივის მუშაობითა და სწავლებით.

უეჭველია, კომკავშირი უკანასკნელი წლების განმავლობაში გაიზარდა. მის მუშაობაში თვალსაჩინო წარმატებები გვაქვს. გაძლიერდა მისი როლი ჩვენს ქვეყანაში, სოციალისტურ მშენებლობაში, თავდაცვაში, გამრავლდნენ მისი რიგები, მაგრამ სწორედ ამ წარმატებებმა თავბრუ დაასხა ბევრ კომკავშირულ აქტივისტს. ისინი გაამპარტავნდნენ და, რაკი ზოგჯერ ფხიზელ პარტიულ თვალს არ გრძნობენ, დამშვიდდნენ, განისვენებას მიეცნენ, არ ჩქარობენ ისწავლონ და ხშირად ცოცხალი საქმის მაგივრად ფუჭი ლაყბობით, ორგანიზაციული ფაციფუცით არიან გართული.

ცნობილია, რომ პროპაგანდისტული მუშაობა შეადგენს კომკავშირის, როგორც აღმზრდელობითი ორგანიზაციის, მთელი მოღვაწეობის შინაარსს. მაგრამ კომკავშირში სწორედ პროპაგანდისტული მუშაობა სწარმოებს არადამაკმაყოფილებლად. ზოგიერთ კომკავშირულ კომიტეტს საკმაოდ აღმოაჩნდა ენტუზიაზმი, მიხვედრილობა და შეუპოვრობა იქ, სადაც ლაპარაკი იყო ფეხბურთზე, პარადებზე და დარბაზობებზე. მაგრამ ეს თვისებანი ხშირად აკლია კომკავშირს, როცა ლაპარაკი აღმზრდელობითს პროპაგანდისტულ მუშაობაზე ჩამოვარდება.

პარტიული ორგანიზაციები ვალდებული არიან საგრძნობლად გააძლიერონ ზრუნვა მოზარდი თაობის აღზრდაზე და სისტემატურად დაეხმარონ კომკავშირს მის რთულ მუშაობაში ლენინ-სტალინის მოძღვრების პროპაგანდის მოსაწყობად. არცერთი კომკავშირელი არ შეიძლება გახდეს ნამდვილი მებრძოლი, თუ იგი არ იცნობს ჩვენი პარტიის გმირულ ისტორიას, მუშათა კლასის ბრძოლისა და გამარჯვებათა ისტორიას. აუცილებელია დავეხმაროთ კომკავშირს მოაწყოს ნამდვილად ბოლშევიკური პროპაგანდა ახალგაზრდობაში, იდეურად შეაიარაღოს იგი და საუკეთესონი მისი წრიდან პარტიის რიგებში შესასვლელად მოამზადოს.

თანამგრძნობნი და კომკავშირელნი პარტიის უმნიშვნელოვანესი, მეტად სერიოზული რეზერვები არიან. ამიტომ მათთან მუშაობის მკვეთრად გაუმჯობესება წარმოადგენს პარტიაში მიღებისათვის ნამდვილ მზადების საუკეთესო მაჩვენებელს და კომუნისტის მაღალ სახელწოდებაზე, ჩვენი პარტიის სიწმინდეზე, მის ძალასა და ძლიერებაზე ნამდვილად ბოლშევიკური ზრუნვის გამოხატულებას. ლენინ-სტალინის პარტიის წევრის სახელწოდება—ყველაზე საპატიო სახელწოდებაა. იმაზე უფრო ძვირფასი და პასუხსაგები არ არის რა, რომ იყო წევრი იმ პარტიისა, რომელიც დიდი სტალინის ხელმძღვანელობით ანხორციელებს მშრომელთა მრავალი თაობის ოცნებას — აშენებს სოციალისტურ საზოგადოებას.

„პრავდის" მოწინავე 6/X.

ფაშისტური ამბოხება ესპანეთში

ესპანეთის კომპარტიის ც. კ-ის მოწოდება

მადრიდი, 6 ოქტომბერი. გუშინ ესპანეთში აღნიშნეს 1934 წლის ოქტომბერის ასტურიასა და ესპანეთის სხვა პროვინციებში მომხდარი ბრძოლების მეორე წლისთავი. ესპანეთის კომპარტიის ც. კ-ი ამის გამო აქვეყნებს მოწოდებას, რომელშიაც ნათქვამია:

„ამჟამად ძირითადი ამოცანაა მოვსპოთ მოღალატე—გენერლები. ამ ომში ყველას თანაბარი მოვალეობა ეკისრება. ეს არის ომი ყველა ჩვენგანის წინააღმდეგ, ომი—ერთიანი, განუყოფელი, იგი მოითხოვს სარდლობის დაუყოვნებლივ ცენტრალიზაციას და რკინის დისციპლინას ჩვენს რიგებში. მოღალატეებს მადრიდის წინააღმდეგ თავისი საუკეთესო ძალები გამოჰყავთ. მადრიდი ჩვენი დიდი ნაციონალური გამარჯვების ბაზად უნდა გადავაქციოთ. წინ, დემოკრატიული თავისუფლების დამცველნო! ჩვენ მარტონი არა ვართ ჩვენს ბრძოლაში. მთელი მსოფლიოს ანტიფაშისტები შემოგვცქერიან და თავის უშრობელ, მხურვალე სოლიდარობას გვითვლიან.

ამ ძმურ დახმარებას სოციალიზმის ქვეყანა—საბჭოთა კავშირი—მეთაურობს".

მოწოდება თავდება მისალმებით სახალხო ჯარებისადმი, სახალხო ფრონტის მთავრობისა და კომუნისტური პარტიისადმი. (საქტს).

მეამბოხეები სასკდომ ტყვიებს ისვრიან

ლონდონი, 6 ოქტომბერი. „დეილი ექსპრესის" გადმოცემით, ესპანეთიდან დაბრუნებულმა ორმა ინგლისელმა მფრინავმა განაცხადა, რომ რესპუბლიკური მთავრობის განკარგულებაში მოიპოვება მხოლოდ 1916 წლის გამოშვებას ძველი თვითმფრინავები. ამავე დროს ფაშისტებს აქვთ 1936 წლის გამოშვების გერმანული და იტალიური თვითმფრინავები. ინგლისელმა მფრინავებმა იგრეთვე განაცხადეს, რომ მეამბოხეები სასკდომ ტყვიებს ხმარობენ. (საქტს).

იტალიელთა დახმარება ესპანეთის ფაშისტებს

ნიუ-იორკი, 6 ოქტომბერი. როგორც „ნიუ-იორკ ტაიმსს" პალენსიიდან ატყობინებენ, დასტურდება ცნობები, რომ იტალიელი მფრინავები დახმარებას უწევდნენ ესპანელ ფაშისტებს იბისის (ბალეარის კუნძულები) დაკავებაში. გაზეთი მიუთითებს, რომ ელექტროტექნიკოსმა რაიმონ კოლმა, რომელმაც პალმუ (ნავსადგური მაიორკას კუნძულზე) დასტოვა, გადმოგვცა ახალი დაწვრილებითი ცნობები, რომ იტალიელები დახმარებას უწევენ ესპანელ ფაშისტებს მაიორკას კუნძულზე. კოლმა განაცხადა, რომ პალმაში იმყოფება ბევრი იტალიელი ოფიცერი გრაფ როსის სარდლობით. იტალიის გემებიდან პალმაში გადმოაქვთ იარაღი და სამხედრო მასალა. ერთმა გემმა გადმოტვირთა 160 ტონა საომარი მასალა, ხოლო მეორე გემმა ორჯერ გადმოტვირთა სამ-სამი იტალიური თვითმფრინავი. მესამე გემიდან გადმოტვირთეს 360 ტონა სამხედრო მასალა. გადმოტვირთვა ღამით სწარმოებდა. შემდეგ კოლმა განაცხადა, რომ ამჟამად პალმაში იმყოფება 6 იტალიური ყუმბარმტყორცნი, 6 გამანადგურებელი, აგრეთვე 7 საზენიტო ზარბაზანი და მრავალი ტყვიამფრქვევი (საქტს).

მდგომარეობა ესპანეთის ფრონტებზე

მადრიდი, 6 ოქტომბერი. დღეს ესპანეთის სამხედრო სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული ცნობის თანახმად, მთავრობის ავიაცია ყუმბარებს უშენდა მეამბოხეთა ახალ თავმოყრილ ძალებს ლესილენთან და ფარლეტოსთან (სარაგოსის პროვინციაში).

სამხრეთის ფრონტზე რესპუბლიკის არტილერიამ სროლა აუტეხა მეამბოხეთა მცირე-რიცხოვან კოლონას. რესპუბლიკის ავიაცია ყუმბარებს უშენდა კორდოვისა და გუადის ზონებს.

ცენტრალურ ფრონტზე მეამბოხეებმა გააახლეს შეტევა ნავალპერალზე, მაგრამ მთავრობის ჯარების კონტრიერიშის შედეგად იძულებულნი გახდნენ უკან დაეხიათ. მათ დიდი ზარალი ნახეს. (საქტს).

○

ლონდონი, 6 ოქტომბერი. „დეილი ტელეგრაფი" გადმოცემით, მეამბოხეთა რაზმები მიიწევენ ტოლედოს აღმოსავლეთით, არანხუესისაკენ, რათა მადრიდ-ვალენსიის რკინიგზის ხაზი გადასჭრან.

უკანასკნელი 10 დღის განმავლობაში ფაშისტურმა სარდლობამ ისარგებლა იმით, რომ გიბრალტარის სრუტეში მთავრობის გემები არ იყვნენ, და მაროკოს ნავსადგურებიდან კადიქსს, ხერესსა და ალჟესირასს გადაიყვანა ჯარის ახალი ნაწილები, 16 ათასი კაცის რაოდენობით. რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ, გარდა მეამბოხეთა ჯარებისა, რომელნიც ზღვით გადაიყვანეს, ყოველ დღე თვითმფრინავებით 1500 კაცი გადაჰყავთ.

„ტაიმსი" იუწყება, რომ ტოლედოს ჩრდილოეთით გაძლიერებული ბრძოლები ხდებოდა, როცა მთავრობის ჯარებმა გაახალეს იერიში ბარგასზე. მეამბოხეთა ავიაციამ, რომელმაც უამრავი ყუმბარები ჩამოჰყარა, აიძულა მთავრობის ჯარები უკან დაეხიათ.

ოვიედოს რაიონში რესპუბლიკის მილიცია ავიაციის დახმარებით განაგრძობს იერიშებს ქალაქ ოვიედოზე.

მეამბოხეთა 15 ყუმბარმტყორცნი გუშინ თავს დაესხა მალაგას. მადრიდში გამოქვეყნებული კომუნიკეს თანახმად, რესპუბლიკის ჯარებმა დაიკავეს ტოსარ ლიმონისი (ბაენის პროვინციაში), რომელიც გაბატონებული პუნქტია ალკალა ლა რეალისაკენ მიმავალ გზაზე. (საქტს).

ესპანეთის საქმეებში ჩაურევლობის დარღვევათა საკითხის ქვეკომისიაში

ლონდონი, 6 ოქტომბერი. რეიტერის სააგენტოს გადმოცემით, ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროში შედგა იმ ქვეკომისიის სხდომა, რომელიც კომიტეტმა გამოჰყო ესპანეთის საქმეებში ჩაურევლობის საკითხზე. სააგენტოს სიტყვით, არავითარი ცნობები არ მოიპოვება, რომ გერმანიისა და იტალიის მიერ ჩაურევლობის შესახებ შეთანხმების დარღვევაზე კომიტეტში შეეტანოთ საჩივრები, რომლებიც ესპანეთის მთავრობამ მოიყვანა თავის მეორე მემორანდუმში ერთა ლიგისადმი.

როგორც ცნობილია, ესპანეთის საქმეებში ჩაურევლობის საკითხის კომიტეტი შექმნილია იმ მთელი რიგი მთავრობების წარმომადგენლებისაგან, რომლებიც მონაწილეობას ღებულობენ ესპანეთის საქმეებში ჩაურევლობის შესახებ დადებულ შეთანხმებაში. კომიტეტის ამოცანას წარმოადგენს კონტროლი გაუწიოს იმ ქვეყნების მიერ ნაკისრ ვალდებულებათა დაცვას, რომლებიც შეთანხმებას მიემხრნენ (საქტს).

◇ ◇ ◇

პალესტინის ამბების გარშემო

ლონდონი, 6 ოქტომბერი. („პრავდის" საკ. კორესპონდენტისაგან). პალესტინაში მომხდარ ამბებთან დაკავშირებით, ინტერესს წარმოადგენს ცნობა, რომელიც „დეილი ჰერალდში" დაიბეჭდა. გაზეთი ბეჭდავს ერთერთი პალესტინელი მოღვაწის ჩვენებას. ეს მოღვაწე, რომელიც ლეიბორისტულ წრეებს ეკუთვნის, აცხადებს, რომ აჯანყებულ არაბებს უპოვეს იარაღი და რომ ამ იარაღს ჰქონდა გერმანიის ქარხნების 1936 წლის დამღა. ამავე მოღვაწემ განაცხადა, რომ მოიპოვება დოკუმენტალური მტკიცებანი, რომლებიც ადასტურებენ, რომ არსებობს კავშირი იტალიის აგენტებსა და არაბთა უზენაეს კომიტეტს შორის. ეს უკანასკნელი ინსტრუქციებსა და ფულს საზღვარგარეთიდან ღებულობს (საქტს).

◇ ◇ ◇

წერილების გაცვლა ავენოლსა და გრეიზერს შორის

ბერლინი, 6 ოქტომბერი. დანციგის სენატის ბეჭდვითი სიტყვის განყოფილება იუწყება, რომ ერთა ლიგის გენერალურ მდივან ავენოლსა და დანციგის სენატის თავმჯდომარე გრეიზერს შორის მოხდა წერილების გაცვლა-გამოცვლა. პასუხად ავენოლის მიწვევისა გაგზავნოს დანციგის წარმომადგენლები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ ერთა ლიგის მიერ დანციგის მდგომარეობის საკითხის განხილვაში, გრეიზერმა უპასუხა, რომ დანციგის თვალსაზრისი ამ საკითხზე უკვე წინათ იცნობა ერთა ლიგასო. რაც შეეხება დანციგში ერთა ლიგის ახალი უზენაესი კომისრის დანიშვნის საკითხს, გრეიზერის განცხადებით, დანციგის წარმომადგენელს ბეტხერს, რომელიც ჟენევაში იყო გაგზავნილი, არაორაზროვნად განუცხადეს, რომ ერთა ლიგის ახლანდელი სესიის განმავლობაში არ არის განზრახული ახალი კომისრის დანიშვნის საკითხის განხილვაო. ამის გამო დანციგის მთავრობას საჭიროდ არ მიაჩნია თავისი წარმომადგენლის გაგზავნა.

გერმანიის პრესა აღნიშნავს ერთა ლიგის დანციგის ახლანდელი უზენაესი კომისრის ლესტერის გაწვევას, რასაც დანციგელი ფაშისტები სთვლიან თავიანთ უდავო გამარჯვებად და იმად, რომ აღმოიფხვრა ყოველგვარი დაბრკოლება ფაშისტთა შინაპოლიტიკური პროგრამის სავსებით განხორციელებისათვის და პირველ რიგში „ოპოზიციის საბოლოო განადგურებისათვის". ამ „პროგრამის" განხორციელების წესით დანციგში უკვე დაიწყო ოპოზიციის წარმომადგენელთა მასობრივი დაპატიმრება. მაგალითად 4 ოქტომბერს პოლიციამ დააპატიმრა 74 აქტივისტი სოციალ-დემოკრატი. (საქტს).

ლირის დევალვაცია

რომი, 6 ოქტომბერი. მიუხედავად იმისა, რომ ფრანგული ფრანკის დევალვაციის შემდეგ იტალიელთა კომპეტენტურ წრეებში ნაკლებად შესაძლებლად მიაჩნდათ იტალიის მიერ ლირის წინანდელი კურსის შენარჩუნება, მაინც გადაწყვეტილებამ ლირის დევალვაციის შესახებ აქ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. იტალიის გაზეთები პირველ კომენტარიებში ცდილობენ საქმე ისე დახატონ, თითქოს ლაპარაკი არა დევალვაციაზე, არამედ ლირის „შეთანასწორებასა" და შეგუებაზე უმნიშვნელოვანესი ქვეყნების ვალუტათა დონესთან.

დევალვაციის გამოცხადებასთან ერთად, გამოიცა მთელი რიგი განკარგულებანი, რომელთა მიზანიცაა ფასების შენარჩუნება ახლანდელ დონეზე.

ამავე დროს გამოცხადდა აგრეთვე ახალი საგანგებო გადასახადი უძრავ ქონებაზე და იძულებითი სესხი უძრავი ქონების ღირებულების 5 პროცენტის ოდენობით. პრესის ცნობებით, ეს გადასახადი, ისე როგორც სესხი, გათვალისწინებულია სამხედრო საჭიროებებისათვის. (საქტს).

◇

გარდაიცვალა უნგრეთის პრემიერი გემბეში

ვენა, 6 ოქტომბერი. ბუდაპეშტიდან მიღებული ცნობებით, მიუნხენის მახლობლად სანატორიუმში მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა უნგრეთის პრემიერი გემბეში.

ხულიუს გემბეში დაიბადა 1886 წელს. მან განსაკუთრებით გამოიჩინა თავი, როგორც კონტრრევოლუციის ორგანიზატორმა; აქტიურ მონაწილეობას იღებდა უნგრეთში 1919 წელს საბჭოთა ხელისუფლების დამხობაში. შემდგომ წლებში ხელმძღვანელ როლს თამაშობდა უნგრეთის უკიდურესი რეაქციისა და ფაშისტთა წრეებში. საგარეო პოლიტიკაში, იტალიასთან ძალიან ახლო ურთიერთობის შენარჩუნებასთან ერთად, აიღო კურსი ფაშისტურ გერმანიასთან დაახლოვებისაკენ. (საქტს)

◇

პარიზის ბირჟაზე

პარიზი, 5 ოქტომბერი. დღეს პარიზის ბირჟაზე, ისე როგორც ფრანკის დევალვაციის შემდეგ ბირჟის გახსნის პირველ დღეს, გამაღლებული საქმიანობაა. ფრანკის კურსის დაწევის შედეგად საგრძნობლად აიწია საფრანგეთის მთელი რიგი ფასიანი ქაღალდების კურსმა.

გირვანქა სტერლინგი ფასობს 105,50 ფრანკს, დოლარი—21,40 ფრანკს (საქტს).

◇ ◇ ◇

ჰიტლერის „მოსავალი"

ლონდონი, 5 ოქტომბერი. ინგლისური გაზეთების უმრავლესობა ირონიული სათაურებით ათავსებს ცნობებს გერმანიაში ფაშისტური „მოსავლის დღესასწაულის" შესახებ. მაგალითად, გაზეთი „მორნინგ პოსტი" აძლევს ასეთ სათაურს — „ჰიტლერი უჩვენებს თავის მოსავალს: ზარბაზნებს, ტანკებს, თვითმფრინავებს და ყუმბარმტყორცნებს" ამ გაზეთის ბერლინელი კორესპონდენტი სწერს:

„მიწის ნაყოფს", რომელიც „მოსავლის დღესასწაულზე" უჩვენეს, წარმოადგენდნენ ზარბაზნები, ტანკები, თვითმფრინავები და ყუმბარმტყორცნები, მაგრამ, როგორც სჩანს, ამან არ გამოიწვია ენტუზიაზმი დამსწრე გლეხებში". კორესპონდენტის თქმით, სიტყვებში არაფერი იყო ნათქვამი ხორცისა და რძის პროდუქტების ნაკლებობაზე. ფაშისტურმა პრესამ,—განაგრძობს კორესპონდენტი, — ეს დღესასწაული გამოიყენა იმისათვის, რათა „მოაგონოს მოსახლეობას, რომ საჭიროა ყოველგვარი შესაძლო საშუალებით გასწიოს პროდუქტების ეკონომია". ვითარება ისეთია,—განაგრძობს კორესპონდენტი, — რომ განსაკუთრებულ საჭიროებას არ წარმოადგენს ამის გახსენება, ვინაიდან პროდუქტების ნაკლებობა ყველგან თვალში გეცემათ (საქტს).

◇ ◇ ◇

უცხოეთის ქრონიკა

○ ოფიციალური ცნობით, აღრიცხულ უმუშევართა რაოდენობა ინგლისში 21 სექტემბრისათვის შეადგენდა 1.624.339 — 10.899 მეტს, ვიდრე ერთი თვის წინ.

○ ინგლისის ავიაციის სამინისტრომ გაანაწილა დაკვეთები მოქმედების დიდი რადიუსის მქონე ყუმბარმტყორცნთა დიდი რაოდენობით.

○ იტალიის მინისტრთა საბჭომ გამოიტანა გადაწყვეტილება იტალიური ლირის დევალვაციის შესახებ.

○ კიოსტი კალიომ (აგრარი) შეადგინა ფინეთის ახალი კაბინეტი, რომელშიაც შევიდნენ აგრარული პარტიის 9 წევრი, 2 კონსერვატორი და 2 პროგრესისტი. საგარეო საქმეთა მინისტრი არის ხოლსტი (აგრარი).

მთავრობის ფლოტის მატროსი და სახალხო მილიციის მოხალისე საგუშაგოზე ბარსელონის ნავსადგურში.

ინგლისურ ჟურნალ „სფერიდან". (სოიუზფოტო).

ესპანეთის ქალთა და ბავშვთა დახმარების ფონდისათვის

20 სექტემბრიდან 5 ოქტომბრამდე სახელმწიფო ბანკის საქართველოს კანტორაში, გამხეცებული ფაშიზმის წინააღმდეგ გმირულად მებრძოლი რესპუბლიკური ესპანეთის ქალთა და ბავშვთა დახმარების ფონდისათვის, შემოვიდა **42.715** მანეთი და 65 კაპ. მაგრამ ეს ციფრი მთლიანად არ გამოხატავს ადგილებზე შეგროვილ ყველა სახსრებს, რადგან ბევრ ორგანიზაციას, დაწესებულებასა და საწარმოს, რომელნიც ხელმოწერისა და გადარიცხვებს ახდენენ, შეგროვილი თანხები ფონდში ჯერ კიდევ არ გადაუციათ.

სახსართა შეგროვება გრძელდება (საქტს).

მასობრივი მიტინგი სიღნაღში

სიღნაღი, 7 ოქტომბერი. (ტელეფ. სპეც. კორ.) 5 ოქტომბერს ესპანეთის ამბებთან დაკავშირებით სიღნაღში გაიმართა მასობრივი მიტინგი, რომელსაც დაესწრნენ მუშები, მოსამსახურეები, მოსწავლე ახალგაზრდობა და ქალაქის მშრომელი მოსახლეობა.

მიტინგი გახსნა რაიპროფსაბჭოს წარმომადგენელმა ამხ. ლაღაზიძემ. სიტყვებით გამოვიდნენ: ამხ. გუნცაძე, ვ. პოჭუა, დარჩიაშვილი, ჩოხნაშვილი, ჯანგულაშვილი.

მიტინგმა მისალმება გაუგზავნა ხალხთა დიდ ბელადს ამხანაგ სტალინს და მისასალმებელი დეპეშა ესპანეთის მთავრობას.

◇◇

მახარაძის რაიონის გამარჯვება

**საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანს
ამხ. ლ. ბერიას**

ასლი „კომუნისტის" რედაქციას

თქვენი კონკრეტულ-ოპერატიული ხელმძღვანელობითა და ყოველდღიური დახმარებით, მახარაძის რაიონმა, ჩაის ამ ძირითადმა რაიონმა ჩაის მწვანე ფოთლის წლიური გეგმა შეასრულა გადაჭარბებით **6 ოქტომბრისათვის** მოკრეფილია და სახელმწიფოსათვის ჩაბარებულია 5.235.000 კილოგრამი ფოთოლი (გეგმის 100,3 პროცენტი). ამრიგად თქვენდამი მოცემული სიტყვა ბოლშევიკურად განაღდებულია.

ჩაის ფოთლის კრეფა გაცხოველებული ტემპებით გრძელდება. მთელი რაიონის ბოლშევიკებისა და მშრომელთა სახელით პირობას გაძლევთ გეგმის გადამეტებით მოვკრიფოთ 13 ოქტომბრისათვის **200.000** კილოგრამი ფოთოლი.

რაიონში არსებულ 7 ჩაის ფაბრიკიდან (გარდა ერთისა) ყველას გადაჭარბებით შესრულებული აქვს ხარისხოვანი ჩაის პროდუქციის გამოშვების გეგმები.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მეხუთე პლენუმზე თქვენს საპროგრამო მოხსენებაში დასმულ საბრძოლო მითითებათა მტკიცედ გატარებით უზრუნველვყოფთ ჩაის პლანტაციების სანიმუშოდ მოვლა-პატრონობას.

**საქ. კ. პ. (ბ) მახარაძის რაიკომის მდივანი მ. ქილაძე.
რაიაღმასკომის თავმჯდომარე კ. გოგუაძე.**

○ ◇ ○

ხილის დამზადების გეგმა შესრულებულია

**საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ს —
ამხ. ლ. ბერიას**

თქვენი ხელმძღვანელობით და თქვენი ყოველდღიური დახმარების მეოხებით ტყიბულის რაიონმა ხილის დამზადების გეგმა მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულა.

დამტკიცებული გეგმების მიხედვით, ტყიბულის რაიონის კოლმეურნეებსა და ერთპიროვნულ მეურნეებს სახელმწიფოსათვის ცენტრალიზებული დამზადების წესით უნდა ჩაებარებინათ 650 ტონა და დეცენტრალიზებული დამზადების წესით —945 ტონა, მთლად—1595 ტონა. 1 ოქტომბრისათვის დამზადებულია 2.140,5 ტონა, ანუ გეგმის 140,4 პროცენტი.

გეგმა მთლიანად და გადაჭარბებით არის შესრულებული ხარისხობრივ მაჩვენებელთა მხრივაც. თესლოვანი ხილი, გეგმით გათვალისწინებული 1.300 ტონის ნაცვლად, დამზადებულია 1.700 ტონა. კურკოვანი ხილი, გეგმით გათვალისწინებული 230 ტონის ნაცვლად დამზადებულია 374 ტონა.

მთელი დამზადებული პროდუქცია უკვე გაეგზავნა დანიშნულებისამებრ მოსკოვის, ლენინგრადის, ბაქოს და ტფილისის მუშებს. დამზადება გრძელდება.

**საქართველოს კ.პ. (ბ) ტყიბულის რაიკომის მდივანი
ჯავახიძე.**

ხვნა-თესვა სიღნაღის რაიონში

(ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.)

საშემოდგომო ხვნა-თესვის კამპანიის წარმატებით უზრუნველსაყოფად სიღნაღის რაიონში დროულად გაიშალა მოსამზადებელი მუშაობა. ხვნა დაამთავრა შირაქის საბჭოთა მეურნეობამ. 5 ოქტომბრისათვის კოლმეურნეობებსა და ერთპიროვნულ მეურნეობებში მოხნულია 24.064 ჰექტარი (გეგმის 70,1 პროც.), რაიონში სულ დათესილია 18.498 ჰექტარი (გეგმის 41,1 პროცენტი).

მტს-ბის მიხედვით თესვის გეგმის შესრულება ასეთ სურათს იძლევა: 5 ოქტომბრისთვის წითელწყაროს მტს-ს დათესილი ჰქონდა გეგმის 51 პროც. ულიანოვკისას — 33 პროცენტი, წნორისას — 25 პროც. შირაქის მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობას დათესილი აქვს 4.707 ჰექტარი (69 პროც.).

თესვაში ჩამორჩნენ შემდეგი სასოფლო საბჭოები: ვაქირის (გეგმა შესრულებული აქვს 12 პროცენტით), ანაგისას—13 პროც. ნუკრიანისას—30 პროც. მაღაროსას—29 პროც. წინ მიდის წითელწყაროსა და ზემოქედის სასოფლო საბჭოები.

5 ოქტომბრისათვის თესვა მოათავა წითელ-წყაროს წითელარმიელის სახ. კოლმეურნეობამ, კოლმეურნეობა მტს-ის გზამ და ზემოქედის ამხ. ვოროშილოვის სახ. კოლმეურნეობამ.

რაიონის კოლმეურნეობები თესლით უზრუნველყოფილი არიან. 5 ოქტომბრისათვის თესლის გაწმენდის გეგმა შესრულებული იყო 85,1 პროცენტით, ხოლო შეწამვლის 55 პროცენტით.

წნორის მტს-მა სათესი მანქანა დროზე ვერ გადაიტანა ალაზნის ველზე. 3-4 სექტემბერს მანქანა გაცდა. ულიანოვკის მტს-ი არათანაბრად ემსახურება კოლმეურნეობებს. ზოგან ამ ორ დღეში მოათავებენ ხვნას, ხოლო ზოგან (ნუკრიანი, თავდაცვა-ავიოქიმის სახ. კოლმეურნეობაში) ხვნის გეგმა 14 პროცენტით არის შესრულებული.

კომუნისტი

ხუთშაბათი, 8 ოქტომბერი 1936 წ. № 233 (4732)

საბჭოთა ყრილობა ახლოვდება!

ემზადებიან მერვე ყრილობისათვის

დიადი სტალინური კონსტიტუციის პროექტის საერთო სახალხო განხილვამ და მერვე საგანგებო ყრილობის მოწვევამ უძლიერესი ენტუზიაზმი გამოიწვია ჩვენი სოციალისტური მშენებლობის ყველა უბანზე.

ჩვენი ქვეყნის მოწინავე საწარმოების და საბჭოთა სოფლის მოწინავე ადამიანები, ახალი მიღწევებით ეგებებიან იმ დიად დღეს, როცა ჩვენი დიდი კავშირის ბედნიერი ხალხის წარმომადგენლები სახალხოდ დაამტკიცებენ სტალინურ კონსტიტუციას.

ჯუღელის რაიონში უკვე დაიწყო მოსამზადებელი მუშაობა საბჭოების მერვე ისტორიული ყრილობისათვის. რაიონის მოწინავე საწარმოები და კოლმეურნეობები გაეცნენ რა კიევის, ლენინგრადისა და მოსკოვის მუშების მოწოდებას — ყრილობის მზადებასთან დაკავშირებით, იკისრეს ახალი ვალდებულებანი.

ჯუღელის ფერომარგანეცის ქარხნისა და მშენებლობის სადეპუტატო ჯგუფის კრებამ სტახანოველ მუშებთან და ინჟინერ-ტექნიკოს მუშაკებთან ერთად განიხილა მერვე ყრილობის მზადების საკითხი. მათ იკისრეს ამ ისტორიული ყრილობის გახსნას შეხვდნენ ახალი მიღწევებით, მიაღწიონ ღუმელების ტექნიკურ სიმძლავრეთა სრულ გამოყენებას, მეოთხე კვარტალში გეგმის გადამეტებით მისცენ ქვეყანას 20 ტონა ფერომოლიბდენი, 30 ტონა ლითონის მარგანეცი, 180 ტონა წიდის ბამბა და 250 ტონა კარბიდი;

მათ იკისრეს მეოთხე კვარტალში აითვისონ ელექტროდების წარმოება და განათავისუფლონ ჩვენი ქვეყანა ელექტროდების იმპორტისაგან.

წლიური გეგმის გადაჭარბებით შესრულების მიზნით დღე-ღამეში გამოადნონ ფეროსილიციუმი 15 ტონა, ნაცვლად 12 ტონისა; შეამცირონ ენერგიის ხარჯვა ერთ ტონა ფეროსილიციუმზე 10 პროცენტით; აგრეთვე შეამცირონ პროდუქციის თვითღირებულება არანაკლებ 10 პროცენტისა.

არგვეთის საბჭოთა მეურნეობის მუშებმა საერთო კრებაზე, რომელიც ეძღვნებოდა საბჭოთა მერვე ყრილობის მზადებას, იკისრეს: მოაწყონ კონსტიტუციის პროექტის შემსწავლელი წრეები, რათა ყველა მუშამ ხელმიწვდომით შეისწავლოს კონსტიტუცია ყრილობის გახსნისათვის.

სოციალისტური შრომის ნაყოფიერების და თვითღირებულების შემცირებისათვის მათ იკისრეს: შეამცირონ თვითღირებულება 3 პროცენტით, ხოლო შრომის ნაყოფიერება ხუთი პროცენტით გაზარდონ.

ჩაიბარონ 25 ნოემბრისათვის მაღალხარისხოვანი ვენახების პასპორტიზაცია და შეასრულონ ყოველგვარი საზამთრო სამუშაო, ვადაზე ადრე. სვირის ამხ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა საერთო კრებაზე საბჭოების საკავშირო ყრილობის მზადებასთან დაკავშირებით იკისრეს მამულის უკეთ დამუშავებით გაადიდონ ყურძნის მოსავლიანობა 50 ცენტნერამდე, ნაცვლად 46 ცენტნერისა ჰექტარზე; ვენახის გასაშენებლად მოამზადონ პლანტაჟი 5 ჰექტარზე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2 ჰექტარისა; მოსავლიანობის გადიდების მიზნით ჩაატარონ მზრალად ხვნა 43 ჰექტარზე და სხვა. ამ კოლმეურნეობის მეექვსე ბრიგადამ თავი გამოაცხადა მერვე ყრილობის სახელობის ბრიგადად, რომელმაც იკისრა ახალი ვალდებულებანი.

◇ ◇ ◇

საბჭო სუსტად მუშაობს

ჯერ კიდევ 1933 წელს გომის მცხოვრებლებმა გადასწყვიტეს გაუქმებული ელსადგურის აღდგენა და ამისათვის 12000 მანეთიც შეაგროვეს; 35 ცხენძალიანი სადგური აღდგენილ იქნა. გომელები დიდის სიხარულით მოელოდნენ ელექტრონის შუქურა სხივებს, მაგრამ მოლოდინი არ გაუმართლდათ. გომის სოფლის საბჭოს უმოქმედობის შედეგად ელსადგური ჯერ კიდევ არ ამუშავებულა. კიდევ მეტი, ამბობენ, საბჭო ამ ელსადგურს გაყიდვას უპირებსო.

ასეთივე ბედი ეწია კლუბსაც. იგი თითქმის მთლად დანგრეული იყო, მაგრამ მოსახლეობის აქტიური დახმარებით აღდგენილ იქნა. შიგ მოეწყო დარბაზი 32 ექვს საჯდომიანი სკამით, დავდგით რადიომიმღები, შევიძინეთ პიანინო, ფარდა, დეკორაციები, შევაკეთეთ სცენა და გაჩაღდა მუშაობა ადგილობრივი მოსახლეობის მზარდი კულტურული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, მაგრამ მალე ეს კლუბიც დაიხურა.

გომელების განსაცვიფრებლად ვილაცამ ეს კლუბი გადასცა უტილნედლეულის გომის ქვებაზას და ახლა შიგ უტილის საწყობია გამართული.

როგორც ელსადგურის უმოქმედობა, ისე კლუბის დახურვა და კულტურული მუშაობის ჩაშლა მხოლოდ სოფლის საბჭოს (თავ-რე გოგიჩაიშვილი) სუსტი მუშაობის ბრალია. ხაშურის რაიაღმასკომი უნდა დაეხმაროს გომის საბჭოს ამ ნაკლოვანებათა გამოსწორებაში.

ა. არბოლიშვილი.
ივ. ჩოჩიშვილი.
მ. ხეთაგური.

ამომრჩევლები ანგარიშს იბარებენ

საბჭოები, დეპუტატები, მთელი ხალხი გაცხოველებით ემზადება, რათა სასახელოდ შეხვდეს საბჭოების VIII ყრილობას, რომელიც დაამტკიცებს და კანონად აქცევს სტალინურ კონსტიტუციის პროექტს — საბჭოთა კავშირის ხალხთა ბედნიერი ცხოვრების ურყევ საფუძველს.

ყრილობისათვის შესახვედრად მუშაობა გაშალა ტფილისის 26 კომ. სახ. რაიონმაც უკვე 3 და 4 ოქტომბერს ჩატარდა საანგარიშო კრებები ზეთ-საპნის ქარხანაში, პურის № 2 ქარხანაში, წისქვილ-კომბინატში, ქაღალდის კომბინატში, ქალაქის პირველ საავადმყოფოში, სარემონტო კანტორაში, ორჯონიკიძის სახ. მექანიკურ ქარხანაში და სხვა საწარმოებში.

საანგარიშო კრებებზე ამომრჩევლებს ანგარიშს აბარებენ 26 კომ. სახ. რაისაბჭო, ქარხანა-ფაბრიკების სადეპუტატო ჯგუფების-ხელმძღვანელნი და ცალკეული დეპუტატები.

26 კომ. სახ. რაიონის ცენტრი — შაუმიანის მოედანი — მთლად გამოცვლილია. თუ წინათ სივიწროვისა და უსუფთაობის გამო აქ გავლა ძნელი იყო, დღეს ეს მოედანი ისე განიერია, რომ რამდენიმე ათას კაცს დაიტევს. მოედანი მოასფალტებულია, გარშემო სახლები შეღებილია და მხატვრულად და კულტურულად გაფორმებული. შაუმიანის მოედანი დღეს ტფილისის ერთერთ თვალსაჩინო ცენტრად იქცა. ამომრჩევლები საბჭოს ამ მიღწევას ხედავენ და კრებებზე დიდ კმაყოფილებასაც გამოსთქვამენ.

26 კომ. სახ. რაისაბჭომ შეასრულა ამომრჩეველთა დავალება საბინაო მშენებლობის ხაზით; 1935 წლის პირველ ნახევარში საბინაო ამხანაგობის ხაზით (კახეთის ქ. № 63) აშენდა ახალი დიდი სახლი. ორი წლის განმავლობაში, საბჭომ კაპიტალურად შეაკეთა 73 სახლი. მიმდინარე რემონტი გაუკეთა 450 სახლს.

შარშან და წელს საბჭომ შეაკეთა 38 ქუჩა' აქედან ზოგი გაგანიერდა, ზოგს შეუკეთდა ბულვარები და ტროტუარები, დაიგო ქვაფენილი, მოხდა გამწვანება და სხვ.

ამ რაიონში ყველაზე მნიშვნელოვან სამუშაოდ უნდა ჩაითვალოს ავლაბრის ყოფილი ხოჯევანქის სასაფლაოს კულტურისა და დასვენების პარკად გადაკეთება. პარკის მოედანი 18 კვადრატიული ჰექტარი იქნება, ე. ი. ტფილისის ორჯონიკიძის სახ. კულტურისა და დასვენების პარკზე უფრო დიდი. ამჟამად აქ გაცხოველებით მიმდინარეობს მიწის სამუშაოები. რგავენ ძვირფას ნარგავებსაც. უახლოეს დროში ავლაბარს ექნება ნამდვილი კულტურული დასვენების, გართობისა და მხიარულების ბაღი.

ავლაბარს აქვს ისეთი უბნები, რომლებიც დაშორებული არიან ქალაქის ცენტრს; დღემდე ამ უბნების მცხოვრებთათვის ტრამვაით მოგზაურობა დიდ სიძნელეს წარმოადგენდა. დღეს ნავთლუღისა და ქალაქის ხორცკომბინატისაკენ გაყვანილია ტრამვაის ფართოლიანდაგიანი ხაზი: ფეხსაცმლის ახალი ფაბრიკისა და ქაღალდის კომბინატის მუშებს ამან დიდად გააუმჯობესა მიმოსვლის პირობები.

რაისაბჭომ ასევე დიდი ყურადღება მიაქცია რკინიგზის გადაღმა მცხოვრებთა მდგომარეობას. წინათ აქაურ მცხოვრებლებს ყოველი წვრილმანისთვის რამდენიმე კილომეტრი ფეხით უნდა გაევლოთ, რადგან დაშორებული იყვნენ ტრამვაის ხაზს, არა ჰქონდათ საექიმო პუნქტი და სხვ.

დღეს რკინიგზის გადაღმა უბანს რაიონის ცენტრთან აკავშირებს ავტობუსის მიმოსვლა, გაფართოვდა კოოპერატიული დუქანი, გაიხსნა საექიმო პუნქტი. ამგვარად, ამომრჩეველთა დავალება შესრულებულია.

ნავთლუღის ხორც-კომბინატისაკენ აქამდე მხოლოდ ორი ტრამვაი მოძრაობდა, რაც მუშებსა და დანარჩენ მგზავრებს მიმოსვლას უძნელებდა. ხორც-კომბინატის დეპუტატის ამხ. გიორგაძის ინიციატივით ამ ხაზზე ტრამვაის მიმოსვლა გახშირდა, დაუმატეს კიდევ ერთი მარშრუტი.

რამდენიმე წლის წინათ რაიონი ძალიან უსუფთაო და მტვრიანი იყო. ამის საწინააღმდეგოდ უკვე მიღებულია ზომები, გაკეთდა ახალი ბაღები და სკვერები. გამწვანდა ქუჩები 36.373 კვადრ. მეტრის სიგრძეზე, დაირგო 1844 სხვადასხვა ჯიშის 446 ათასი მეტრის სიგრძეზე, რაზედაც მარტო მიმდინარე წელს დაიხარჯა 228 ათასი მანეთი.

მიუხედავად ამისა, ქუჩებში სისუფთავის დაცვა მაინც არადამაკმაყოფილებელია — აღნიშნავენ დეპუტატები; მაგალითად, ნავთლუღში, ჰიაბრიშვილის, ბაღდათის, დოდაშვილის და სხვა ქუჩებში ჯერ კიდევ დიდი უსუფთაობაა. ეს ქუჩები წვიმის ნიაღვრებმა დახრამა, მოსახლეობა კი შიგ ათასგვარ საბინძურესა ჰყრის (ნეხვი, ნაგავი და სხვ.). მზიან ამინდში აქ გავლა გაძნელებულია, რადგან ძალიან ცუდი სუნი დგება.

ამომრჩევლებს კრებებზე შეაქვთ ახალი წინადადებები, კისრულობენ ვალდებულებებს, რომ საბჭოების VIII ყრილობას ახალი საწარმოო წარმატებებით შეხვდნენ, ვადაზე ადრე შეასრულონ გეგმები და უფრო მაღლა ასწიონ შრომის ნაყოფიერება. მაგალითად, ორჯონიკიძის სახ. მექანიკური ქარხნის მუშებმა და მუშა-ქალებმა იკისრეს ვალდებულება,—25 ნოემბრისათვის შეასრულონ ქარხნის წლიური საწარმოო გეგმა.

ამომრჩევლები საბჭოებისა და დეპუტატებისაგან თავიანთი დავალებების შესრულებას მოითხოვენ. ის დეპუტატები, რომლებმაც ამომრჩეველთა ეს მოთხოვნები ვერ დააკმაყოფილეს, უკანვე გამოჰყავთ საბჭოს შემადგენლობიდან. აი მაგალითად, 26 კომ. სახ. რაისაბჭოს შემადგენლობიდან, პასიურობისა და ამომრჩეველთა დავალებების შეუსრულებლობისათვის ამომრჩევლებმა გაიწვიეს დეპუტატი მესტვირიშვილი (ფეხსაცმლის ახალი ფაბრიკა), ბეგიაშვილი (ორჯონიკიძის სახ. მექანიკური ქარხანა), ბაზაზიანი (დიასახლისებიდან) და როზალიანი.

ახლოვდება ყრილობის დღე, ჩვენი ამოცანაა—მივიღოთ ყოველგვარი ზომები იმისათვის რომ ყველა მშრომელმა კარგად შეითვისოს და შეისწავლოს სტალინური კონსტიტუციის პროექტი, რომელიც მშრომელთა ბედნიერი ცხოვრების ახალ წარმატებათა საფუძველს წარმოადგენს.

ქ. მ—ლი.

„26" სახ. რაიონში (ტფილისი) დაიწყო ტფილისის საბჭოს და რაისაბჭოს საანგარიშო კამპანია. რაიონის საწარმოებში დეპუტატები აბარებენ ანგარიშს ამომრჩევლებს.

სურათზე: რაიკომის მდივნის მოადგილე ამხ. ა. ჟივაზოვი სიტყვას ამბობს ორჯონიკიძის სახ. ქარხნის მუშათა კრებაზე.

ვალ. გაბუნია

მეტალურგიის კერა გუგუნებს

ვოლტას რკალში იწურება ძვირფასი ფოლადი. იგი მრეწველობის „შავი პურის" — მარგანეცის, მოწამლითის კირქვის, კოქსისა და რკინის ბურბუშელის პროდუქტია. მაღლა აზიდულ ფოლადის მხრებს ძირს, მაწასთან საკმაოდ ფართო, გამძლე ღუმელში ჩაუშვიათ ტანი. გერმანული ფირმის — „სიმენს შუკკერტის" მიერ დადგმული რთული კონსტრუქციები, საბჭოთა ინჟინრების მიერ მოხერხებულად გამართული ელექტროღუმელები ხარბად ნთქამენ მადნეულთა მთელ კომპლექსს; სამფაზიანი ღუმელი 6000—6500 კილოვატზე ღუღუნებს, ელექტროამძრი ფართო სასხმო ენის მყუდროებას არღვევს, იგი თიხით მოწყათალოდ შელესილ ბოყვებს ეზიდება ღუმელის პირთან, ხან კი ცეცხლოვან ბოყვებს მოაცილებს ღუმელის პირს და იქვე ახლოს სატვირთავ უბანთან გადმოაპირქვავებს, დასცლის. ჩამყრილა აპარატი მუდამ გრიალებს, მას ყოველთვის მზადა აქვს კაზმი, თავის დროზე ჰკვებავს ღუმელს, არ ჰკარგავს საკაზმს, დროგამოშვებით „მუღუ" საკვებიან ტუჩს მიიტანს ელექტრონით გავარვარებულ ღუმელთან და მის მშიერ ხახას სწრაფად ამოავსებს.

ამ დიდ გველეშაპს მაგრად გაუდგამს ფეხი დოვლათიანი იმერეთის ველზე და ტკბილად სწოვს საქართველოს სამთომადნო სიმდიდრეს.

ამაზე ქართველი ხალხი, ამ შვიდი თვის წინათ, თავის შვილს, მთელი ქვეყნიერების ჩაგრულთა სიამაყეს დიდ სტალინს სწერდა:

„ხალხი შეკრბა, მთებს მოედო
ღუმელების ხმა და ცეცხლი,
ნიადაგმა მოგვცა ოქრო,
მარმარილოს ქვა და ვერცხლი,
მიწას გული და სიცხე
ფეროს ქარხნებს გადავეცით,
რომ საბჭოეთს არ დააკლდეს
ფოლადი და მარგანეცი".

დიახ!—ეს ჯუღელის ფერომარგანეცის ქარხანა გახლავთ, უკეთ რომ ვთქვათ — ფეროშენადნობთა ქარხანა.

ამ ქარხანას ახლო წარსულში ბევრი ტკივილი ჰქონდა. ღუმელების ფსკერი გაბურღებული ლითონისაგან იჭმებოდა. ლითონი მიწაში იკარგებოდა, დიდძალი ზარალი იყო. „სიმენსის" ფირმის წარმომადგენლები ზირნიცი, ფოგელი, ნეიმანი ვერ ასწორებდნენ ღუმელების ფსკერს". საქმეს კვლავ საბჭოთა ტექნიკური ინტელიგენციის გონებამ უშველა.

ინჟ. ვასო ჩიტაძის, ი. ნაცარაძის და სხვათა პრაქტიკულმა გამოცდილებამ, მათ მიერ ჩატარებულმა ცდებმა შესანიშნავი შედეგები მოგვცა. ახლა ქარხანაში ფსკერზე ლაპარაკიც არ არის, იგი შეკეთებულია და შეუფერხებლად მუშაობს.

ფერომ, მისმა ადამიანებმა კარგი მანძილით მოიტოვეს წარსული, მათ ახლა სასაცილოდ ეჩვენებათ ღუმელზე 7—10 ტონა ფერომარგანეცის გამოდნობა.

ადვილი საქმე როდია ღუმელების ნაყოფიერების ერთი - ერთნახევრად, ერთი - ორად გადიდება! მეტალურგიული ელექტროღუმელები ნერვიული არსებებია. მათ თვალისჩინივით უვლიან. ათასი თვალი შესცქერის მათ, რომ მოწყობილობათა მთელი ჯამი შეუფერხებლად მუშაობდეს. ცოდნა, გამოცდილება, შრომას უკეთ მოწყობა საქმეს ყველგან შველის. აქაც ასე მოხდა. უფროსი მდნობელი ვალ. სალაძე მოსკოვში საბჭოთა საქართველოს დელეგაციის ყოფნისას ამხანაგ სტალინს პირობას აძლევდა, რომ თავის ღუმელზე ცვლაში 18 ტონას გამოადნობდა, ნორმად კი მიცემული ჰქონდა 10,7 ტონა. საკმაო განსხვავებაა! სალაძემ პირობის შესრულება შესძლო, 18,6 ტონა ლითონი გამოადნო და ამით ყველას გაუსწრო.—მაგრამ...

ქარხანაში იზრდებოდა ყოჩაღი გიორგი. იგი კომკავშირმა აღზარდა. 6 წლის წინათ სოფელ კვალითიდან მოსულა და ქარხნის მშენებლობაზე შავმუშად დაუწყია მუშაობა; ბეტონის სამუშაოები ასწავლეს რუსმა ამხანაგებმა. 1933 წელს თავისი ფხიზელი თვალებით ღუმელის დამონტაჟებას აკვირდებოდა, როცა ტექნიკური სწავლების კურსებზე ჩაეწერა, კარგად იმეცადინა და როცა სახელმწიფო ტექნიკური გამოცდები „ფრიადზე" ჩააბარა. მას მთელ ქარხანაში პირველს მისცეს ჯილდოს სახით უფროსი მდნობელის თანამდებობა, ეს დიდი საქმეა. ღუმელზე მუშაობა რთულია და მეტად პასუხსაგები, მაგრამ გიორგის ამხანაგურ დახმარებას უწევდნენ ინჟინრები, საამქროს უფროსი ინჟ. ჩიტაძე. მას არაფერი გაუჭირდება, მაგარი ზურგი აქვს.

— სალაძემ რომ 18.6 ტონა გამოადნო, ამბობს ის, მალე მის რეკორდს რომან მამალაძეც მიუახლოვდა —18,4 ტონა გამოადნო, თვენახევრის შემდეგ მე მივაღწიე 16,7 ტონას. ასე რომ მათ მაინც ვერ დავეწიე. 28 ივნისს ყველაფერი რიგზე გვქონდა, ცვლის ინჟინრად დავით ჩიკაშუა მუშაობდა. ძალიან დავინტერესდით, ვიფიქრე—დღეს 18 ტონამდე ლითონი უნდა გამოვადნო-მეთქი. შრომა კარგად გავინაწილეთ, ვცდილობდით ღუმელის ფაზების აწევ-დაწევა არ მოგვეხდინა, ღუმელში ამოხეთქები შევწყვიტეთ, შიგ გაზი ნაკლები გროვდებოდა, კოქსი და მარგანეცის მადანი მსხვილი იყო, ეს ხელს გვიწყობდა, ელექტროენერგიის ხარჯი შევინარჩუნეთ ტონაზე 3000 კილოვატი და იმ დღეს მართლაც გამოგვივიდა 19 ტონა და 40 კილოგრამი ლითონი.

ეს გიორგის შემთხვევითი გამარჯვება როდი იყო. მან ისწავლა ღუმელზე მუშაობა. ახლა კი გუშინდელი კოლმეურნე რეკორდებს ამყარებს ურთულეს ელექტრო ღუმელებზე. იგი თავისუფლად მსჯელობს ტექნიკური ხასიათის საკითხებზე და კარგად უვლის ღუმელებს. გიორგი მალე გადაიყვანეს ფეროსილიციუმის გამოდნობაზე. ღუმელზე ცვლაში გეგმად მისცეს 3,7 ტონის გამოდნობა, ფაქტიურად 5-6 ტონას ადნობდა.

რამდენი ასეთი ყოჩაღი, მხნე ახალგაზრდა ჰყავს დღეს ფეროს! აქ ჯერ არ ყოფილა სტახანოველთათვის ხელის შეშლის შემთხვევა. ყველა ერთისთვისაა ერთი ყველასათვის. ინჟინრები დედობრივი სიყვარულით უვლიან და ასწავლიან მუშებს,

რა მარდია, რა ცეცხლოვანი არონ ბედნარსკი იგი შუა ჩეხოსლოვაკიიდან გადმოიხვეწა. „სამშობლოში" ფეხი ვერ მოიდგა. ვიტოვიცკის მეტალურგიული ქარხნის ცხოვრება სულ უკან-უკან სწევდა მას. იქ ძლივს მიაღწია მექურობას. ომის კოცონი რომ დაინთო არონიც ამ ყაჩაღური ომის შუაგულში მოექცა. მალე ტყვედ ჩაუვარდა რუს ჯარისკაცთ.

ფეროში იგრძნო მან დიდი გამარჯვება. აქ ახლა უფროს მდნობელად მუშაობს. ფეროსილიციუმის გამოდნობაზე 3,7 ტონის ნაცვლად საშუალოდ თვეში შეინარჩუნა 4 ტონა, ახლა კი ყოველდღიურად 5.5 ტონას ადნობს. 29 აგვისტოს საღამოს მისი ბრიგადა სამუშაოდ გავიდა. 9 საათზე კლუბის დარბაზი ისმენდა დირექტორის ამხ. ვ. მზარეულაშვილის მოხსენებას სტახანოვური მოძრაობის 1 წლის შედეგების შესახებ. არონის ბრიგადის წევრებმა თავისი ხელმძღვანელი სამუშაოდან გაანთავისუფლეს და კლუბში გაგზავნეს ახლად ნაკისრ ვალდებულებათა გამოსაქვეყნებლად. არონმა მოკლედ ილაპარაკა კრებაზე, ტრიბუნიდან ჩამოვიდა და ბრიგადას მიაშურა. როდი იცოდა, რომ ამ საღამოს გარდამავალი დროშა უნდა მიეღო. კრებაზე საქმე მიდგა საუკეთესოთა დაჯილდოვებაზე.

— არონ ბედნარსკი! — დაიძახა თავმჯდომარემ. ხალხით გაჭედილი დარბაზი ერთი წუთით დადუმდა. არავინ ჩანს, ტრიბუნაზე არავინ ადის.

ღუმელებისაკენ წავიდა — მოისმა ხმა.

— ახლავე დაუძახეთ! სადნობ საამქროში ტელეფონმა დარეკა. არონს კლუბში სთხოვდნენ. იგი სასწრაფოდ გატრიალდა და წავიდა.

კლუბის მაღალ სცენაზე თავმჯდომარე ამხ. გერმან მახარაძის მარჯვენა ხელში ეჭირა ოქროსფერი ასოებიანი წითელი გარდამავალი დროშა, დარბაზი აღელვებით ელოდა არონს. უცებ დარბაზი შეირხა. არონ ნელი ნაბიჯით უახლოვდებოდა სცენას. მან არ იცოდა, რაშია იყო საქმე.

— ჩვენ გარდამავალ დროშას ვაძლევთ არონ ბედნარსკის ბრიგადას საუკეთესო მაჩვენებლებისათვის — განაცხადა თავმჯდომარემ და არონ თვალის დახამხამებაზე დროშასთან დადგა. აღტაცებულმა დარბაზმა გულში ჩაიკრა ცეცხლოვანი არონ.

— არავის დავუთმობ დროშას, არავის მივცემ — დაიძახა არონმა და გაშლილი დროშით გაიარა ხალხით სავსე დარბაზი, სასწრაფოდ დაეშვა ძირს ღუმელებისაკენ და სახელდახელო კრება მოიწვია. ყველასთვის ცხადია, თუ რაზე იმსჯელებდნენ იქ.

არონ ცეცხლია, ციმციმით ტრიალებს ღუმელთან, მისი ფართო თვალები ხარბად იყურება მზიანი მომავლისაკენ, რომელიც მას კიდევ უფრო საამურ ცხოვრებას უმზადებს. აქ, ამ ღუმელებთან კაჟდება და მაგრდება იგი. განა მარტო გიორგი და არონია ასეთი?

თედორე ციმბალი ფოლადის ჩარხზე სათადარიგო ნაწილებს სჩარხავს, სჭრის, ალმასებს ღუმელებისათვის. წინათ იმაზე ჯავრობდა, რომ სტახანოვურ მოძრაობამდე ხელს კარგად ვერ უწყობდნენ, სამუშაო იარაღები არ იყო. ახლა კმაყოფილებით იღიმება და მხიარულად ამბობს: ეს კი ცხადია, რომ ახლა აქ მართლაც კარგად ზრუნავენ ჩვენზე, იარაღები, სამუშაო ნახაზები მუდამ გვაქვს. მეც ისე შევისწავლე საქმე რომ დეტალი ხელში ჩქარა გამომდის. ჩარხს არ ვაჩერებ, დროს არ ვკარგავ და ამან შემაძლებინა. რომ ნორმას სულ გადაჭარბებით ვასრულებ.

გიორგი ყიფიანის ბრიგადა სოდერბერგის სისტემის ღუმელის მოწყობილობაზე მუშაობს. ეს ღუმელები საკმაოდ განსხვავდება „სიმენსის" კონსტრუქციისაგან. გიორგის ბრიგადა ავტომატურ სასწორებს აყენებს, ხან კიდევ ჩამტვირთავ აპარატებს დგამს. ბრიგადაში ზეინკლებს გიორგი ისე ანაწილებს, რომ ყოველი, თავისი სამუშაო აქვს. და გეგმასაც წარმატებით ასრულებს.

მოდესტი კრავჩუკი თერმოიზოლაციის, კასკადებისა და ვენტილაციის საქმეს უძღვება. ბრიგადისათვის ყველა საჭირო მასალას იგი წინასწარ იმარაგებს, ძალებს მართებულად ანაწილებს და საქმეც კარგადა აქვს. აგვისტოში ბრიგადამ გეგმა 285 პროცენტით შეასრულა.

ივანე ვაჟენკო და მიხეილ კუზმინი საუცხოოდ უძღვებიან თავიანთ საქმეს. პირველი — მოკლე ქსელის სამუშაოებს, რაც ძალიან ზუსტ და დაფიქრებულ მუშაობას მოითხოვს, მეორე — ელექტრო დამჭერების მოწყობას.

ფეროში ახლა სტახანოველთა ასეულები მუშაობენ. ეს ადამიანები ახლახან გადავიდნენ ნაკლებფოსფორიანი ფეროშენადნობის გამოდნობაზე, ამ მხრივ ისინი პირველნი არიან მთელ საბჭოთა კავშირში. ფერომოლიბდენი მეტად ძვირფასი ლითონია, მის მიღებას ამ ქარხანაში ქიმიური თერმიული მეთოდით მიაღწიეს. ახლო ხანში ქარხანა მოგვცემს კიდევ ახალ შენადნობებს და დამთავრდება სამი ახალი ელექტროღუმელის მშენებლობა.

ფერო ვაჟკაცდება. იგი საკუთარი სახსრებით მუშაობს. საბჭოთა ინჟინრების დახელოვნებულ მუშაობას, სტახანოველთა გმირობასა და მამაცობას ვერავითარი დაბრკოლება ვერ სძლევს. ფერო იზრდება და მტკიცდება, იგი სულ მაღლა და მაღლა მიიწევს. სტახანოველნი მაგრად „უტევენ" ტექნიკას, მარჯვედ იმორჩილებენ ყველა დანადგარს და მძლავრად აძგერებენ ფეროს გულს.

„ღვივის ფერო, იმერეთის არემარეს
კვამლით ბოლავს,
ღვივის ფერო, ღუმელები ცეცხლის
ალში წვრთიან ფოლადს
რომ ქალაქის მრეწველობას არ
მოუხდეს უქმად დგომა,
რომ ქარხნებმა კოლექტივებს
მანქანები მისცენ ბლომად".

სულ მალე, ახლო მომავალში კიდევ უფრო მძლავრად აგუგუნდება შავი მეტალურგიის ეს ქართული კერა.

◆

დადგენილება
საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი
საქართველოს სსრ-ში 1937 წლის მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერის ჩატარების შესახებ

„1937 წელს მოსახლეობის სრულიად — საკავშირო აღწერის შესახებ" გამოცემული, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წ. აპრილის 28-ის და 29-ისა, ივლისის 22-ისა და აგვისტოს 15-ის დადგენილებათა შესაბამისად, მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მოხდეს 1937 წლის იანვრის 6-ს.

განსაკუთრებული გეოგრაფიული და კლიმატური პირობების გამო ზემოსვანეთისა, ქვემოსვანეთისა, ყაზბეგისა, ხულოს, ლენინგორისა და ჯავის რაიონებში, აგრეთვე სოხუმის რაიონის ნაწილში (ფსხოს და აჭარის სასოფლო საბჭოები) აღწერა მოხდეს 1936 წლის ნოემბრის 15-დან ნოემბრის 25-მდე, ხოლო არხოტის, ბარისახოს, ბაცალიგოს და შატილის სასოფლო საბჭოებში (დუშეთის რაიონი) და ომალოს და დართლოს სასოფლო საბჭოებში (მთათუშეთი, თელავის რაიონი) — 1936 წლის ოქტომბრის 1-დან ოქტომბრის 10-მდე.

2. მოსახლეობის აღწერა ჩაატარონ სახალხო - სამეურნეო აღრიცხვის ორგანოებმა. პასუხისმგებლობა მისი ჩატარებისათვის დაეკისროს საქართველოს სსრ სახალხო - სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს უფროსს.

3. ავადმყოფებისა — საავადმყოფოებსა და კლინიკებში, დასასვენებლად მყოფთა სანატორიუმებსა და დასვენების სახლებში, ბავშვებისა — დედისა და ბავშვის სახლებში, ჩვილთა სახლებში, სანატორიული ტიპის ბაგებში, საბავშვო სახლების მოწაფეებისა და აგრეთვე ინვალიდთა სახლებში მყოფი ინვალიდების აღწერა დაეკისროს სათანადო დაწესებულებათა ადმინისტრაციას სსრ კავშირის საგეგმო კომისიის სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ცენტრალური სამმართველოს ინსტრუქციის მიხედვით.

დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს, მთავარ საკურორტო სამმართველოს, წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოების ცენტრალურ კომიტეტს, საქართველოს პროფესიულ კავშირთა საბჭოს, სარეწაო კოოპერაციის საურთიერთო დახმარებისა და საურთიერთო დახმარების სალაროების სრულიად საქართველოს კავშირს და სხვა უწყებებს და ორგანიზაციებს, რომელთაც თავიანთ გამგებლობაში აქვთ აღნიშნული ტიპის დაწესებულებანი:

ა) მიაწოდონ ოქტომბრის 20-მდე სახალხო - სამეურნეო აღრიცხვის საქალაქო და სარაიონო ინსპექტორებს ამ დაწესებულებათა დაწვრილებითი სიები, თითეული დაწესებულების სამყოფელი ადგილის ზედმიწევნითი მისამართის აღნიშვნით;

ბ) მოახდინონ განკარგულება — თითეულ დაწესებულებაში მოსახლეობის აღწერის ჩატარებისათვის პასუხისმგებელი პირის გამოყოფის შესახებ; ამ პირის გვარი უნდა ეცნობოს სახალხო - სამეურნეო აღრიცხვის სათანადო საქალაქო და სარაიონო ინსპექტორს არა უგვიანეს ნოემბრის 5-ზე.

გ) დიდრონ დაწესებულებებში, აღწერის ჩატარებისათვის პასუხისმგებელი პირის დანიშვნის გარდა, დაავალონ დაწესებულებათა ხელმძღვანელებს — გამოჰყონ დაწესებულების პერსონალის შემადგენლობიდან აღრიცხვის ჩასატარებლად საჭირო პირთა საკმაო რიცხვი — თითეულ 150 კაცზე თითო პირის ვარაუდით.

4. დაევალოს აფხაზეთის ასსრ-ისა, აჭარის ასსრ-ისა და სამხრეთოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს, სახალხო - სამეურნეო აღრიცხვის ორგანოებთან ერთად, ჩააბან მოსახლეობის აღწერაში, მოანგარიშეებისა და კონტროლიორ-ინსტრუქტორების სახით, სკოლებისა და საბჭოთა და სავაჭრო დაწესებულებების მომუშავენი, უმაღლესი სასწავლებლებისა და საშუალო სკოლების უფროსი კლასთა მოსწავლენი იმ ვადით, რაც საჭიროა წინასწარი მომზადებისა და თვით აღწერის ჩატარებისათვის.

წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს, სათანადო შემოწმების შემდეგ, დაამტკიცონ, სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ორგანოებთან ერთად, შერჩეულ მოანგარიშეთა და კონტროლიორ-ინსტრუქტორთა კადრების პერსონალური შემადგენლობა — არა უგვიანეს 1936 წ. ოქტომბრის 20-სა.

5. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო - სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან და საქალაქო საბჭოებთან ერთად, აღნუსხონ ის პირნი, რომელნიც მობილიზებულ უნდა იქნენ სარაიონო აქტივიდან რწმუნებულად და მათ თანაშემწეებად და მათი პერსონალური სია წარმოუდგინონ დასამტკიცებლად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წ. ოქტომბრის 25-მდე.

6. აღწერის სარაიონო რწმუნებულთა თანაშემწეებად რაიონებში განსაზღვრულად მობილიზებულ იქნენ კვალიფიცირებული მომუშავენი რესპუბლიკურ დაწესებულებათა და ორგანიზაციათა პასუხისმგებელ პირთაგან (არანაკლებ 60 კაცისა); ამ მომუშავეთა პერსონალური სიის შედგენა დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო - სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს.

7. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მყოფ ყველა სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ დაწესებულებას და ორგანიზაციას — განათავისუფლოს აღწერისათვის მობილიზებული ყველა მომუშავე მისი უშუალო სამუშაოსაგან აღწერის მომზადებისა და ჩატარებისათვის საჭირო დროის განმავლობაში.

8. მოწოდებულ იქნეს აღწერისათვის სოფლად მთელი პედაგოგიური პერსონალი სოფლის სკოლებში დეკემბრის 1-ლსა და 15-ს შუა-ერთი დღით, დეკემბრის 29-ასა და 31-ს შუა ერთი დღით, იანვრის 1-ლსა და 5-ს შუა-ერთი დღით, იანვრის 10-მდე — ერთი დღით.

9. მოწვეულ იქნეს ოქტომბრის დამლევს ტფილისში სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებისა და საქართველოს სსრ სახალხო - სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს სარაიონო და საქალაქო ინსპექტორების თათბირი აღწერის სარაიონო საორგანიზაციო გეგმების განხილვისა — და აღწერის მომზადებასთან დაკავშირებული ყველა საკითხის განბჭობისათვის.

10. წინადადება მიეცეს საქალაქო საბჭოებისა და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებს — მათი პირადი პასუხისმგებლობით:

ა) მოიყვანონ ოქტომბრის 25-მდე სრულ წესზე სახლების ნუმერაცია და ყველა, გამოუკლებლივ, ქუჩის, შესახვევის, ჩიხის და მოედნის სახელწოდება გამოჰკიდონ—რა ყველა სახლზე მისი სათანადო ნომერი და თითეულ კუთხეზე ტაბულა ქუჩის სახელწოდებით;

ბ) დაამთავრონ იმავე ვადაზე საზოო უბნების სიათა შედგენა;

გ) წარადგინონ არა უგვიანეს ნოემბრის 1-სა საქართველოს სსრ სახალხო - სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოსთან არსებულ საალწერო ბიუროში ქალაქების სქემატიკური გეგმები, ქუჩებისა და კვარტალების სახელწოდებისა და სახლთმფლობელობათა ნომრების აღნიშვნით.

11. წინადადება მიეცეს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს — უზრუნველჰყონ ოქტომბრის 15-მდე სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სარაიონო საქალაქო და საუბნო ინსპექტორება მუშაობისათვის საჭირო სადგომებით, სათანადო გაწყობილობით (მაგიდები, შკაფები, ტელეფონები) და კომუნალური მომსახურეობით (განათება, გათბობა),

12. დაევალოს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო და სასოფლო საბჭოებს — უზრუნველჰყონ აღწერაზე მომუშავენი საჭირო სადგომებით ინსტრუქტირებისა და საალწერო მასალის მიღებისათვის, აგრეთვე მიმოსვლის საშუალებით, რისთვისაც, უკეთუ საჭირო იქნება, გამოიყენონ დაწესებულებათა, საწარმოთა, კოლმეურნეობათა და სხვ. ტრანსპორტი.

13. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო - სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს — მიაწოდოს თვეში ორჯერ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ინფორმაცია აღწერისათვის მომზადების მუშაობის მსვლელობის შესახებ.

14. დაწესდეს, რომ ცნობები, რაც შეიკრიფება ცალკეულ პირებზე მოსახლეობის სრულიად - საკავშირო აღწერის დროს, არ უნდა იქნეს გახმაურებული და გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ სტატისტიკური დამუშავების მიზნით.

ის მოანგარიშე, კონტროლიორ-ინსტრუქტორი და აღწერის სხვა მომუშავე, რომელიც გაახმაურებს ცნობებს ცალკეული პირების შესახებ, მიეცემა პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 114 მუხლის თანახმად.

15. მოსახლეობის სრულად საკავშირო აღწერის ყველა მოანგარიშეს და კონტროლიორ - ინსტრუქტორს უნდა მიეცეს სპეციალური მოწმობა სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის ან საქალაქო საბჭოს თავმჯდომარისა და აღწერის სარაიონო (საქალაქო) ხელმძღვანელის ხელმოწერით.

მოსახლეობის მოთხოვნილებისამებრ აღწერის მომუშავე, რომელიც ჰამოკითხვას ახდენს, მოვალეა წარადგინოს თავისი მოწმობა.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნ. ილიუშინი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე ს. მეზუქი.

1936 წ. სექტემბრის „22"

◇ ◇ ◇

ავტო-გადარბენა

ამჟამად საბჭოთა კავშირში მიმდინარეობს დიდი ავტოგადარბენა შემდეგი მარშრუტით: იაროსლავლი - გორკი - ლენინგრადი - სევასტოპოლი - ნოვოროსიისკი - ტუაფსე - სოხუმი - ტფილისი - ბაქო - მოსკოვი-იაროსლავლი.

გუშინ ტფილისში მიღებული ცნობით, 6 ოქტომბერს გადარბენის ავტოკოლონა მთელი შემადგენლობით მოვიდა სოხუმს, ხოლო 7 ოქტომბერს 6 საათსა და 30 წუთზე — ზუგდიდში.

იაროსლავლიდან ზუგდიდამდე მანძილი ავტოკოლონამ 31 დღეში გაიარა.

იმავე დღეს, 7 საათზე კოლონა დაიძრა ზუგდიდიდან ტფილისისაკენ ბათუმზე გავლით.

განა ეს დაჯილდოვებაა?

(წერილების მიმოხილვა)

სოციალისტური შრომის წახალისებლად უდიდესი მნიშვნელობა აქვს კეთილსინდისიერი, თავდადებული შრომის დაფასებას, იმ მოწინავე მუშის, კოლმეურნის, მასწავლებლის თუ სხვა საბჭოთა მუშაკის დაჯილდოვებას, რომელიც შეგნებულად ახმარს თავის შრომას სოციალისტური აღმშენებლობის საქმეს.

ეს ჭეშმარიტება კარგად შეითვისეს ჩვენმა საბჭოთა და სამეურნეო მუშაკებმა და ყველა წარმატებულ მუშაკს, რომელმაც თავი ისახელა თავისი დარგის ტექნიკის სრული დაუფლებით და შრომის ნაყოფიერების მაღალი მაჩვენებლები მოიპოვა, — სათანადოდ აჯილდოვებენ, უქმნიან შემდგომი ნაყოფიერი მუშაობის სტიმულს.

მაგრამ ზოგან სოციალისტური შრომის წახალისების ამ შესანიშნავ იარაღს — დაჯილდოვებას უხეიროდ იყენებენ, დიდი ამბით და ხმაურით აჯილდოვებენ წარჩინებულ მუშაკებს, მაგრამ ხშირად იმავე საღამოს ავიწყდებათ დაჯილდოვებულებიც და მათთვის მიკუთვნებული ჯილდოს გაცემაც. დაჯილდოვების საქმის ასეთი შებღალვის ფაქტებს ხშირად წააწყდებით ზოგ ჩვენ წარმოება-დაწესებულებაში, რომელთაც უხეირო მუშაკნი ხელმძღვანელობენ და სამწუხაროდ, ზოგ სახ. კომისარიატშიც კი. ამას მოწმობს რედაქციაში შემოსული მშრომელთა წერილები.

აი, ფაქტები.

გასული წლის დეკემბერში მიმდინარეობდა კონკურსი საუკეთესო სამკითხველოზე. კონკურსის შედეგად კარგი მუშაობისათვის განათლების სახ. კომისარიატმა მიმდინარე წლის იანვარში დააჯილდოვა ცხაკაიას რაიონიდან ნოქალაქევის სამკითხველოს გამგე ო. ზარქუა, ქვედათეკლათის სამკითხველოს გამგე მარო გვარამია და გეჯეთის სამკითხველოს გამგე რიზა ასლან-ზადე. დაჯილდოვების შესახებ დადგენილება იანვარში გამოიტანეს.

— ჯილდო დღესაც არ მიგვიღია... განცხადებაც კი გავაგზავნეთ განსახკომის კულტსექტორში, მაგრამ პასუხს ვერ ვღირსეთო — გვწერს ამხ. ო. ზარქუა.

საინტერესოა, კიდევ რამდენ ხანს დასჭირდებათ შეპირებული ჯილდოს ლოდინი ზემოხსენებულ სამკითხველოთა გამგეებს?

აგრონომი თ. უთისანი გვწერს: „1936 წლის 4 მარტს მიწსახკომმა დაგვაჯილდოვა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მებაღეობა-მევენახეობა-მემინდვრეობის ფაკულტეტის კურსდამთავრებული ფრიადოსნები ერთი თვის სტიპენდიით, მაგრამ აღთქმული ჯილდო დღემდე არ მიგვიღიაო“.

როგორც ვხედავთ, მიწსახკომიც ჰბაძავს განსახკომს!

სტახანოველებისა და დამკვრელი მუშების დაჯილდოვებაში არც ტრიკოტაჟის კომბინატის სკოლის მშენებლობის ხელმძღვანელნი იჩენდნენ სიმუნწეს, ხოლო რაც შეეხება გამოცხადებული ჯილდოს გაცემას — ამას არც აქ ჩქარობენ. ამ სკოლის მშენებლობა დაკვრითი წესით მიმდინარეობდა. ზოგიერთი სტახანოველები ნორმებს 250-300 პროც. ასრულებდნენ. სკოლის აგება დამთავრებულ იქნა გეგმით გათვალისწინებული ვადის ათი დღით ადრე. სკოლის გადაცემის დროს საზეიმო სხდომაზე ორმოცდაათამდე სტახანოველი და დამკვრელი მუშა იქნა დაჯილდოვებული სხვადასხვა რაოდენობის ჯილდოთი. დრო მიდის, ჯილდოს კი არ იძლევიან.

მშენებლობის მუშები ამხ. ლ. ილურიძე, მჭედლიშვილი, იორამაშვილი, ბ. გოგოლაძე და სხვები გვწერენ: „ორი თვე გავიდა ლოდინში და ჯილდო კი არა, კუთვნილი ხელფასიც არ მოუციათ. ინჟინერმა თევდორაძემ გული დაიმშვიდა, რადგან მშენებლობა ვადაზე ადრე ჩაბარებით და ახლა ხელფასის გადახდისა და ჯილდოების მოცემისთვის თავს არ იწუხებს“.

რა ვუყოთ, თუ თვითონ არ იწუხებს თავს, პროკურატურა მაინც შეაწუხებს მას და აიძულებს მისცეს მუშებს როგორც კუთვნილი ხელფასი, ისე შეპირებული ჯილდოც!

ქუთაისში აიგება ახალი ხიდი

ქუთაისში, რიონის ბორნიდან 50 მეტრის ქვემოთ, აიგება ახალი ხიდი, რომელიც არსებითად შესცვლის ქალაქში მოძრაობას. იგი იქნება ქალაქის მთავარი სატრანსპორტო ხიდი, ვინაიდან მოკლე მანძილით დააკავშირებს ქალაქის ორ ძირითად საწარმოო უბანს. ამ ხიდზე მოხდება აგრეთვე ქუთაისის მარჯვენა მხარესთან დაკავშირებული სას. საბჭოების და რაიონების ტვირთზიდვა. ამრიგად ხიდს ქალაქის კეთილმოწყობისათვის უდიდესი მნიშვნელობა ექნება. ტვირთბრუნვის ოპერაციების შეცვლის შედეგად ქუთაისის წარმოებებს წლიურად 620.000 მანეთის ეკონომია ექნებათ.

ხიდი უნდა აიგოს ოთხმალიანი, თაღოვანი სისტემის, ღია თაღოვანი ესტოკადური შევსებით. ძირითადად ხიდი ბეტონისა იქნება, რომელიც ფასადების მხრიდან შეპირანგებული იქნება ადგილობრივი ქვის ჯიშებით. ხიდის სიგრძე 148 მეტრი იქნება, ხოლო მასზე მისასვლელი გზების (ორივე მხრიდან) —572 მეტრი; მთლიანად ახალი მაგისტრალის სიგრძე 720 მეტრს უდრის.

სიგანე—19 მეტრი იქნება. სამ-სამ მეტრზე ორსავე მხრივ მოეწყობა ტროტუარები, დანარჩენ 13 მეტრზე გავა ფართო ლიანდაგიანი სატრამვაიო ან სატროლეიბუსო ორი ხაზი.

მისასვლელი გზის სიგანედ მიღებულია 24 მეტრი, ორსავე მხრივ სამ-სამი მეტრი დათმობილი აქვს ტროტუარებს, ორ მეტრნახევარი გამწვანებულ ზონას, ხოლო დანარჩენ 13 მეტრზე მოეწყობა იმავე დანიშნულებისა და გამტარუნარიანობის სავალი ნაწილი, როგორც თვით ხიდზე.

ხიდის პროექტი ისეთნაირად არის შედგენილი, რომ ქალაქის ზრდასთან დაკავშირებით, შესაძლებელი იყოს ხიდის გაფართოება ან 24 მეტრამდე ან 28-მდე.

ხიდის არქიტექტურულ გაფორმებას დიდი ყურადღება მიექცევა. ფასადის მხრიდან შეიმოსება: ადგილობრივი გრანიტით, ეკლარის ქვით, მარმარილოთი. ხიდის ბოლოებში დაიდგმება ქანდაკებანი.

ხიდისა და მისასვლელი გზების მთლიანი ხარჯთაღრიცხვა უდრის 4.180.416 მანეთს. ჯერდან წელს უნდა დაიხარჯოს 457.000 მანეთი. და დანარჩენი თანხა მშენებლობამ უნდა აითვისოს შემდგომ ორი წელში. ხიდის მშენებლობა გეგმით უნდა დამთავრდეს 1939 წლის 25 თებერვალს. ხიდის აგება უკვე დაიწყო, მუშაობა გაცხოველებული ტემპით მიმდინარეობს. მშენებლობას ხელმძღვანელობს ინჟ. გ. ბერია.

ინჟ. ნ. ალხაზიშვილი.

ჯულელის რაიონის სოფელ ცხრაწყაროს კოლმეურნეობის წევრი ამხ. რაჟდენ ხუსკივაძე საუკეთესოდ უვლის მასზე გაპიროვნებულ ვენახს. სურათზე: ამხ. ხუსკივაძე შეჰხარის თავის ნამუშევარს.

მევენახე სტახანოველთა შეკრებაზე

(ჯულელი, ჩვენი საკ. კორესპონდენტისაგან).

„მევენახეობა უნდა გავხადოთ [illegible] საქართველოს ყველა რაიონში და პირველ რიგში განსაზოგადოებულ სექტორში“,—ხალხთა ბელადის, დიდი სტალინის საუკეთესო მოწაფის ამხ. ლ. ბერიას ეს მითითება თანდათან ისხამს ფრთებს: რაიონები რაიონებს ეჯიბრებიან, იღებენ ვალდებულებებს, სახავენ მუშაობის კონკრეტულ გეგმებს, ამოწმებენ ნამუშევარს და ყველგან ხალისით, უზომო აღფრთოვანებით ერთმანეთს უსწრებენ ახალ ამოცანათა შესრულებაში.

* * *

ჯულელის რაიონის მუშათა კლუბში დღეს ზეიმია. მოსულან მევენახე სტახანოველები, ვაზის ენთუზიასტები. მოუტანიათ ყურძნის მტევნებით დატვირთული ლერწები, სანიმუშოდ გახარებული ნამყენები. მოუტანიათ საკოლმეურნეო ცხოვრების უხვი დოვლათის ნიმუშები, რომ ერთმანეთს უჩვენონ მუყაითი შრომის, მონდომებისა და სიყოჩაღის იშვიათი ნაყოფი.

რაიონის მთელი ტერიტორიიდან 3.050 ჰექტარი ვენახებს უკავია, ხოლო უახლოესი 4 წლის განმავლობაში ეს ფართობი 5.000 ჰექტარამდე იქნება აყვანილი. გარდა ადგილობრივი ჯიშებისა შამპანურისათვის გაშენდება: ალიგოტე, შარდონე, ფრანგული—პინო სულ 500 ჰექტარამდე.

რაიონი შეკრების წინ სპეციალურად შეამოწმა მიწსახკომის მევენახეობის სამმართველოს უფროსმა ამხ. გრ. შენგელიამ, რომელიც აღნიშნავს რაიონის მიღწევა - ნაკლოვანებებს მევენახეობა - მეღვინეობის განვითარების საქმეში.

კამათში გამოვიდნენ: მინდორ შუცარიძე (მერკვილაძის სახ. კოლმეურნეობა). აკაკი ჩიტორელიძე (პირველი სვირი, კახიანის სახელობის) ვასილ გველესიანი (ძირულა, „იმედი“), ვლ. ბრეგვაძე (ზემო საზანო, „25 ოქტომბერი“), ალ. გიორგაძე (ქვემო საქარა, „მაქს ჰელცი“), მუმლაძე (კვალითი), ნიკაბაძე (ტაბაკინი, „მედგარი“), ოკრიბელაშვილი (სვირი „სტალინის“) და საქარის დასაყრდენი პუნქტის სპეციალისტები ლოლაძე და კვარაცხელია. ისინი თვითკრიტიკის წესით დაწვრილებით ლაპარაკობენ შეცდომებზე და ნაკლზე და იძლევიან საქმიან წინადადებებს. ისინი ამბობენ: ავაგოთ სათბურები, შევარჩიოთ უკეთესი მასალა, უკეთ დავამყნოთ და უკეთესად მოვუაროთ. ნაკვეთი გავაპიროვნოთ მთელი წლით და არა დროებით. თვალისჩინივით გავუფრთხილდეთ თვითეულ ვაზს. ვენახი ჩვენი სიცოცხლის წყაროა, ის ჩვენი მასაზრდოებელია, არ დავუშვათ შიგ ბალახი, ვთოხნოთ არა 3 ან 4-ჯერ, არამედ ყოველთვის, ვიდრე სარეველა მცენარეები არ მოისპობიან. ვენახებში სიმინდის, გოგრის, პამიდორის და სხვათა თესვა ართმევს ვაზს სინათლეს, საკვებს, წყალს, ხელს უწყობს მავნებლებისა და ავადმყოფობის გავრცელებას, მოსავლიანობის შემცირებას. შარშან ჰექტარზე 27-30 ცენტნერი ყურძენი მივიღეთ, წელს 42 მაინც იქნება, მომავალში ეს რიცხვი 60-70 ცენტნერამდე მაინც უნდა ავიყვანოთ.

ასეთია ვაზის სტახანოველთა საქმიანი წინადადებები. კამათში გამოდის მტს-ის დირექტორი ამხ. მ. კაკაბაძე და აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. შარიქაძე. დასკვნით სიტყვას ამბობს რაიკომის მდივანი ამხ. გ. გაბუნი[illegible], იგი მოუწოდებს დამსწრეებს სტახანოვური მუშაობისაკენ, მოსავლიანობის განუწყვეტელი ზრდისაკენ, რომ მევენახეობის ეს მეორე მთავარი რაიონი საქართველოში ყოველთვის ყოფილიყოს მოწინავე რაიონთა რიგებში.

შეკრებამ მიიღო გურჯაანელთა გამოწვევა, თავის მხრივ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია თელავის რაიონი.

შეკრებამ მისალმებით მიმართა ამხ. ლ. ბერიას.

რატომ გარიცხეს კოლმეურნეობიდან ნ. ონოფრიშვილი?

„კოლმეურნეობის დაარსების დღიდან მისი წევრი ვარ. არასდროს საყვედური ან გაფრთხილება არ მიმიღია, 1936 წლის ივლისში კი ისე გამრიცხეს კოლმეურნეობიდან, რომ ამის შესახებ არაფერი ვიცოდი. ვის არ მივმართე, რაიონში, მაგრამ სიმართლე ვერ აღვიდგინე“— გვიამბობს ახალსოფლის (ყვარლის რაიონი) კუჭიშვილის სახელობის კოლმეურნეობის წევრი ნიკო ონოფრიშვილი.

კოლმეურნეობის თავმჯდომარის ნესტორ მასურაძის ჯიუტობით ონოფრიშვილი დღესაც კოლმეურნეობის გარეთ არის. საინტერესოა, რა ბრალდებით გარიცხეს ონოფრიშვილი კოლმეურნეობიდან?

ამის თაობაზე კოლმეურნეობის ხელმძღვანელები ასეთ პასუხს იძლევიან: იმიტომ გავრიცხეთ, რომ კერძო ნათესები ჰქონდაო. თითქოს დასაჯერებელი ამბავია, მაგრამ ფაქტები კი სხვას ლაპარაკობენ: ნიკო ონოფრიშვილი კეთილსინდისიერი, მუყაითი კოლმეურნეა. მის შვილსაც (15 წლისას) გამომუშავებული აქვს 49 შრომადღე.

საერთოდ, ონოფრიშვილის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდება არ დადასტურდა. მოუხედავად ამისა ის არ აღადგინეს.

ონოფრიშვილმა ისევე განცხადებით მიმართა ყვარლის რაიაღმასკომის პრეზიდიუმს. ონოფრიშვილის განცხადება გაირჩა სამ აგვისტოს პრეზიდიუმის სხდომაზე, რომელსაც ონოფრიშვილი არ დასწრებია. პრეზიდიუმმა დაადასტურა საერთო კრების დადგენილება.

საერთო კრება, რომელზედაც ონოფრიშვილი გარიცხეს, კანონიერი არ იყო: იგი შემთხვევით იქნა მოწვეული და კოლმეურნეობის წევრთა ნახევარიც არ დასწრებია. როცა რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. ისაკ თანდილაშვილს სთხოვეს გადაესინჯათ ეს დადგენილება და საქმე დეტალურად გამოერკვია, მან განაცხადა: არაფერსაც არ გადავსინჯავთ, ჩვენი დადგენილება სწორია, თავს ტყუილად ნუ იწუხებთო!

ასე ბრძოლდება მას შემდეგ, რაც საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტის მეხუთე პლენუმზე ა.-კ. და საქართველოს ბოლშევიკების მებრძოლმა ხელმძღვანელმა ამხ. ლ. ბერიამ თავის მოხსენებაში ხაზგასმით აღნიშნა წესდების ამ მუხლის დარღვევა ყვარლის რაიონში.

შ. ორაგველიძე

ილო მოსაშვილი

ბელადს

მზე ბნელს ჩააქრობს და ათბობს მთიელს,
მისი სხივების დიდებით მოსილი,
როგორც შენ მიწის [illegible]:
ხეს, ადამიანს და სავსე თაველს,
შენი გენიის სინათლით ჰმოსავ.

დგება ბალახი, აცახცახდება,
მოვარდნილ სითბოს წყალივით დალევს;
ტკბილი სიზმარი ცხადად ახდება,
და შენი სახე ცაზე დახვდება,
კაცის პირველად გახელილ თვალებს.

დახვდება მხედარს, მეზღვაურს ქარში,
თოვლიან ზვავში დამწყვდეულ ჩობანს,
ამოუდგება ძმასავით მხარში
და ატკივებულ ჭრილობას მოჰბანს.

ამოუდგება დამზრალ უბეში,
უძრავ ჯამარებს მამაპაპეულს,
და ხარს — შავთვალას, მძიმე უღელში,
როგორც სულდგმულის მხსნელი ნუგეში,
მადლიან ხელით შეხსნის აპეურს.

ვინა ყოფილა — როგორც შენ იგრძენ,
დარდი, რომელიც ქვეყანამ ზიდა,
ამდენი გული, ამდენი სიბრძნე,
ჩვენთვის გაიღო გზადა და ხიდად.

ხალხის იმედად ვინა შობილა
და გადასულა მერმისში ზღაპრად?
ვინ მოაშორა, ვინ ამყოფინა,
რაც ქვეყანაზე ტანჯვა ყოფილა
და სინამდვილედ უქცია ნატვრა!

სხვა — სამშობლოში სამშობლოს ნატრობს,
მიწაზე დადის — არა აქვს მიწა,
ჩვენ კი, ბედნიერ სამშობლოს პატრონს,
შენი სახელი მიგვიძღვის ფიცად!

ზეცაში — მფრინავს, ბრძოლაში — მხედარს,
ვაჟკაცს ზღვასავით გაშლილ ყანაში,
და ბავშვი როცა შესცქერის დედას,
უსმენს და თითქო სიზმარში გხედავს,
შენებრ მშობლიურ იავნანაში.

და როცა დილა, მთების ფიწალზე,
ღრუბლის ბილიკებს ლურჯად შეღებავს.
იგრძნობს სულდგმული დედამიწაზე,
შენი გულის და ხელის შეხებას.

1936 — IX.

ამიერ-კავკასიის მეან-გინეკოლოგთა მეორე ყრილობა

პროფ. პლ. შუშანია

ეს ყრილობა ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის უდიდესი დემონსტრაცია იყო. ქართველი მეცნიერნი აღტაცებული არიან სომეხი და აზერბეიჯანელი ამხანაგების მიღწევებით, ასევე ისინიც ჩვენი წარმატებებით. ჩვენ ერთმანეთს ვუზიარებთ გამარჯვებებს, ერთმანეთისაგან ვსწავლობთ და გვიხარია მოძმე რესპუბლიკების წარმატება.

ყრილობამ გამოსთქვა ერთგულება და სიყვარული ჩვენი გენიალური ბელადისა და მასწავლებლის დიდი სტალინისადმი და მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა მას.

ყრილობა მიესალმა აგრეთვე ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების გამარჯვებათა ორგანიზატორს, საუკეთესო სტალინელს ამხ. ლ. ბერიას, კოლმეურნეობებში სამშობიარო სახლების პირველ ორგანიზატორს ამხ. პ. პოსტიშევს, საკავშირო ჯანდაცვის სახალხო კომისარს ამხ. კამინსკის და სომხეთის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ხელმძღვანელთ.

ყრილობამ ერთხმად დაჰგმო და სამარცხვინო ბოძზე გააკრა ტროცკისტულ-ზინოვიევური კონტრრევოლუციური ბრბო და ერთსულოვნად მოიწონა მათი დასჯა.

არ დარჩენილა არცერთი დელეგატი, რომელსაც დიდი სიამოვნება არ განეცადა. ყოველ ნაბიჯზე სჩანდა პარტიისა და ხელისუფლების მზრუნველობა. სომეხი ამხანაგების დაუღალავი მეცადინეობის შედეგად მუშაობისათვის მშვენიერი პირობები შეგვიქმნეს. ჩვენ შეგვხვდნენ და გაგვიმასპინძლდნენ არა მარტო ხელმძღვანელი ამხანაგები, არამედ მთელი სომხეთის მშრომელი მოსახლეობა. ამას ვგრძნობდით ქარხნებში, კოლმეურნეობებში, ქუჩაში, ტრამვაის ვაგონში, ავტობუსებში კაფე-რესტორანში, — ყველგან ტკბილი ღიმილით, თავაზიანობითა და სიყვარულით გვხვდებოდნენ. სწორედ ეს არის შედეგი ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკისა. მას ხალხის გულში აქვს ადგილი და ვერავინ აღმოფხვრის.

ყრილობის დარბაზს ამშვენებს ხალხთა ბელადის დიდი სტალინის და ამიერ-კავკასიის ერთა მეგობრის ამხ. ლ. ბერიას სურათები.

ჩვენ მეან-გინეკოლოგები პირველად 1930 წელს ტფილისში შევიკრიბეთ, ახლა კი, საბჭოთა სომხეთმა მიგვიპატიჟა.

ყრილობაზე, გარდა სომხეთის, აზერბეიჯანისა და საქართველოს დელეგატებისა, ჩვენი კავშირის სხვა მოძმე რესპუბლიკების წარმომადგენლებიც იყვნენ, რის გამო ყრილობამ ფართო ხასიათი მიიღო.

გარდა ძირითადი მოხსენებებისა, მოსმენილ იქნა მრავალი თანამოხსენება და ინდივიდუალური თემა.

ყრილობის მუშაობამ არაჩვეულებრივ ცოცხლად ჩაიარა, სადი თვითკრიტიკითა და მეცნიერულად დასაბუთებული, საქმიანი წინადადებებით. სხვანაირად არც შეიძლება ყოფილიყო, რადგან ჩვენ შევიკრიბეთ მაშინ, როდესაც პარტიისა და ხელისუფლების, პირადად დიდი სტალინის მშობლიური მზრუნველობის შედეგად, ხელთ გვაქვს კანონი აბორტების აკრძალვის, მშობიარეთა და მრავალშვილიანი ოჯახებისათვის დახმარების შესახებ.

ამიერ-კავკასიის მეან-გინეკოლოგთა მეორე ყრილობამ, ახალ დეკრეტთან დაკავშირებით, განიხილა უაღრესად დიდმნიშვნელოვანი ორგანიზაციული საკითხი — კოლმეურნეობებში და საწარმოო ცენტრებში სამშობიარო სახლების მშენებლობის შესახებ. კოლმეურნეობათა სამშობიარო სახლების შექმნის იდეა ამხ. პოსტიშევს ეკუთვნის. ამიტომ უკრაინაში ასეთი სამშობიარო სახლები ბლომად არის და უკრაინელ ამხანაგებს გამოცდილებაც მეტი აქვთ. ამ საკითხის ირგვლივ აზრთა ცხოველი გაცვლა-გამოცვლა გაიმართა. მთავარი მიმართულება იყო — შეიქმნას 3-5 საწოლიანი საკოლმეურნეო სამშობიარო სახლები, კვალიფიციური ბებია-ქალებით და რაიონული ექიმების მეთვალყურეობით.

ამ აზრის საწინააღმდეგოდ შემოტანილ იქნა წინადადება საკოლმეურნეობათაშორისო დიდი სამშობიარო სახლების აგების შესახებ, რომლებსაც დასჭირდება კვალიფიციური ექიმ მეან-გინეკოლოგთა დიდი კადრები, მშენებლობისათვის დიდი დრო და სხვ.

საკითხის ასე დაყენება — ან ყველაფერი ან სრულებით არაფერი, — არ შეიძლება საქმიან წინადადებად ჩაითვალოს. პირიქით, ის უაღრესად მავნე „მემარცხენე“, ფაქტიურად მემარჯვენე გადახრაა, რის გამო ყრილობამ ეს წინადადება ერთსულოვნად უარჰყო. მშობიარე ახლავე უნდა გამოვაცალოთ ხელიდან სოფლის ბებია ექიმბაშებს და არ ვუცადოთ იმ დროს, სანამ სოფლად სამსართულიან სამშობიარო სახლებს დავამთავრებდეთ. ასეთი იყო ყრილობის ერთსულოვანი დასკვნა.

დეკრეტთან დაკავშირებით ჩვენ აუარებელი თანხები მივიღეთ, მაგრამ სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ მშენებლობის ტემპი ნელი ნაბიჯით მიმდინარეობს და საქმით ჩამორჩენა გვაქვს. დრო არ ითმენს, წლის ბოლომდე მცირე ხანიღა დარჩა. სამუშაო კი ბევრია.

ყრილობამ საშვილოსნოს მდებარეობის ანომალიების ხელშემწყობ მიზეზად აღიარა: ანთებითი პროცესები, მენჯის ფუძის კუნთების სისუსტე, შორისის დაზიანებანი, იოგების მოდუნება და სხვ., რაც შეეხება რაციონალურ შრომას, იგი არათუ არ იწვევს ქალის სასქესო ორგანოთა მდებარეობის შეცვლას, არამედ იცავს სასქესო ორგანოებს მსგავსი ანომალიების განვითარებისაგან, რადგან რაციონალური შრომა ხელს უწყობს კუნთების სიმტკიცეს. სასქესო ორგანოების მდგომარეობის შეცვლის თავიდან ასაცილებლად საჭიროა: ანთებითი პროცესების განკურნება, დაზიანებათა გამოსწორება და რაციონალური შრომა. ასეთია ყრილობის დასკვნა.

მალარია ორსულ ქალებს საგრძნობ ზიანს აყენებს, დიდი პროცენტით იწვევს აბორტს. ზოგი ექიმის აზრი, რომ მალარიით შეპყრობილ ორსულ ქალთა ქინაქინით მკურნალობა შეუძლებელია, უსაფუძვლოდ უნდა ჩაითვალოს. პირიქით, საჭიროა ქინაქინით სისტემატური მკურნალობა, რომ მალარიის პლაზმოდიები დავხოცოთ, სიცხე დავწიოთ, ორგანიზმის ინტოქსიკაცია მოვსპოთ და მით ქალს ორსულობა შევუნარჩუნოთ. ასეთია ყრილობის მეცნიერულად დასაბუთებული აზრი.

ზოგი ფიქრობს, რომ სამშობიარო ტკივილები ფიზიოლოგიურია და მათთან ბრძოლა ნიშნავს ნორმალური მდგომარეობის დარღვევას. ეს დებულება საბჭოთა მედიცინამ უკუაგდო, დაამტკიცა, რომ ტკივილები სრულებით არ ესაჭიროება ფიზიოლოგიურ მოვლენას, შეიძლება მათი გამორიცხვა ისე, რომ ქალს არათუ ზიანს არ მივაყენებთ, არამედ პირიქით, თავიდან ავიცილებთ უსაზღვრო ტკივილებს და ღრმა ნერვიულ განცდებს.

ყრილობაზე გამოირკვა, რომ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების კლინიკებსა და საავადმყოფოებში ღრმად მოიკიდა ფეხი უმტკივნეულო მშობიარობის იდეამ. მას ფართოდ ატარებენ. ყრილობამ დაადგინა: ამ საქმის მეცნიერული ხელმძღვანელობისათვის ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა ჯანსახკომებთან შეიქმნას სპეციალისტებისაგან შემდგარი ავტორიტეტული კომისიები.

ეჭვი არ გვეპარება, რომ მომავალი ყრილობა, რომელიც 1939 წლის გაზაფხულზე აზერბეიჯანშია განზრახული, სამივე რესპუბლიკის მეან-გინეკოლოგთა მეცნიერული მიღწევებისა და ხალხთა მეგობრობის კიდევ უფრო მძლავრი დემონსტრაცია იქნება.

ვალ. ლუარსამიძე

რუსთველის მსოფლმხედველობისათვის*)

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე რუსთველოლოგია უმთავრესად რუსთველის ვინაობის ძიებას, სიუჟეტის სადაურობისა და გმირთა ზერელე დახასიათების ფარგალს ძლივს სცილდებოდა. „ვეფხისტყაოსნის“ მეცნიერულ-კრიტიკულ განხილვასა და ავტორის მსოფლმხედველობის საკითხს გვერდს უხვევდნენ.

საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 20 აგვისტოს დადგენილებამ გადამწყვეტი როლი შეასრულა რუსთველოლოგიაში საკითხის დაყენებისა და კვლევაძიების მეცნიერული გზით წარმართვისათვის.

ამ სტატიაში ჩვენი მიზანია მხოლოდ პროფ. შ. ნუცუბიძის („რუსთველის მსოფლმხედველობისათვის“, ტფილ. სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, წიგნი პირველი, 1936 წ.) და პოლ. ცინცაძის („ვეფხისტყაოსნის მსოფლმხედველობა და მხატვრული კონსტრუქცია“, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქ. ფილიალის გამოცემა 1936 წ.) შრომებს მოკლედ შევეხოთ და მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები აღვნიშნოთ საკვლევი მუშაობის უკეთ წარმართვისათვის.

* * *

პროფ. შ. ნუცუბიძის ნაშრომი იდეალისტური გაგებითაა შესრულებული. (ცნობილია რომ ახლო წარსულში შ. ნუცუბიძე თავისი „ახირებული“ ალეთოლოგიით ცდილობდა მატერიალიზმს და იდეალიზმს შორის წინააღმდეგობანი „მოეხსნა“. ასეთი „ფილოსოფიები“ დღევანდელ ბურჟუაზიულ ევროპაში მოდაშია!)

რუსთველის მსოფლმხედველობის შესახებ შ. ნუცუბიძე გარკვეულად არაფერს ამბობს. იგი სწერს: „ყველა ამის მიხედვით, უკვე წინასწარი ზოგადი მოსაზრებანი გვაქვს [illegible]: რუსთველის ან მხოლოდ მანიქეველობას, ან მხოლოდ ნეოპლატონიკოსობას“ (გვ. 17). ე. ი. ნუცუბიძის გაგებით რუსთველი ნაწილობრივ მანიქეველია და ნაწილობრივ ნეოპლატონიკოსიც. ახლა გავარკვიოთ, თუ რამდენად ლოგიკურად ასაბუთებს თავის ამ დებულებას შ. ნუცუბიძე. „ღმერთის იდეის სიმაღლის აღნიშვნით—წერს ნუცუბიძე—[illegible] რუსთველისათვის ნეოპლატონიზმის ფილოსოფია“ (გვ. 27). რას ნიშნავს ყოველივე ეს? ნეოპლატონიკოსებმა ღმერთი ყოველგვარი მატერიალურისაგან განსწმინდეს და ის წმინდა სულად გამოაცხადეს, ყოველივე მატერიალური კი—ბოროტებად. ნეოპლატონიკოსები მატერიალურობას უარყოფდნენ და ბოროტებად აცხადებდნენ მას. შ. ნუცუბიძეც გრძნობს თავისი აზრის შეუსაბამობას და რუსთველზე ამბობს: „და ის არ გაჰყვა გზას დასავლეთის ფილოსოფიის ნაკადებს და არ მოაკლდება ღმერთი ქვეყანას. არ დაშორებია იგი მას“ (გვ. 27). საერთოდ ფილოსოფიის ისტორიაში ცნობილია, რომ სტოიკოსებმა ასე არ „მოაკლეს ღმერთი ქვეყანას“. სტოელებმა [illegible] ის ქვეყანას, რისთვისაც მათ ღმერთის გამატერიალიზებას უსაყვედურებენ.

შ. ნუცუბიძე საკითხს აბუნდოვანებს, როცა განაგრძობს:

„აქ პირველია ღმერთისა და ქვეყნის და მათ შორის ადამიანის დამოკიდებულება. მიუხედავად იმისა, რომ ღმერთი რუსთველმა ისევე მაღლა წარმოიდგინა, როგორც პლოტინმა, მან არ მიიღო არც პლოტინის მიერ წარმოდგენილი ღმერთის ქვეყანასთან დამოკიდებულება და არც გზა პოლითეიზმისაკენ, რომელსაც პლოტინის სკოლა იამბლიხოსის სახით დაადგა“ (გვ. 27) ამ დებულებას ავტორი ასე ათავებს: „ღმერთი დაყვანილია ბუნებამდე. აქ გაწყდა კავშირი ქართულ პოეტსა და დასავლეთ ფილოსოფიურ სპეკულაციას შორის“ (გვ. 29).

რუსთველმა ღმერთი თუ ისე მაღლა წარმოიდგინა, როგორც ნეოპლატონიკოსებმა, ე. ი. ღმერთი ყოველგვარი მატერიალობისაგან განსწმინდა მაშინ რუსთველს, ნეოპლატონიზმის ნიადაგზე „მდგარს“, როგორ შეეძლო ღმერთის ბუნებამდე დაყვანა, როცა მთელი ბუნება, მატერიალური სამყარო, ნეოპლატონიკოსების მიერ უარყოფილია და ბოროტებად არის მიჩნეული? ან რატომ დასჭირდა რუსთველს ღმერთის ნეოპლატონიკოსებისავით მაღლა წარმოდგენა, თუ მას ისევე ქვეყნამდე ჩამოიყვანდა? ღმერთი ბუნებამდე და ქვეყნამდე სტოელებმა დაიყვანეს, რასაც ფილოსოფიის ყველა ისტორიკოსი აღნიშნავს. ღმერთს თუ ბუნებამდე დაიყვან მაშინ ღმერთის ნეოპლატონისტური მაღლა წარმოდგენისათვის გზა მოჭრილია.

შ. ნუცუბიძე რუსთველის ღმერთის გაგებას ნეოპლატონისტურს უპირისპირებს, როცა სწერს: „მან მიიღო ეს ამოცანა: ღმერთი სინამდვილემდე ჩამოიყვანა, სიმბოლოები სინამდვილედ ვაგო, ალეგორიულ მზეს ცოცხალი მზე აჰკონება, რომელიც ყველაფერს ასებს და ყველაფერს ამჟღავნებს“ (გვ. 35). აქ რუსთველის ღმერთის განმარტება, სინამდვილემდე მისი „ჩამობრძანება“ თვით პროფ. ნუცუბიძის მიერაც სტოელურადაა მოცემული. ნეოპლატონიკური ღმერთის დამახასიათებელი თვისება სამპიროვნობა და მათი მოძღვრების ერთიანობაა, რაც შემდეგ ქრისტიანიზმმაც მიიღო. ფილოსოფიის ისტორიაში ეს ცნობილი ამბავია. ღმერთის სამპიროვნობა რუსთველისათვის უცხოა, რასაც ნუცუბიძეც სცნობს: „პოეტი სამებას არ ახსენებს“ (გვ. 3). ყველა ამის შემდეგ განა შესაძლებელია რუსთველის ღმერთის წარმოდგენაზე ნეოპლატონური გავლენის ნიშნები? ეს ნუცუბიძემაც კარგად იცის, მაგრამ მას სხვა რამ აინტერესებს. ნუცუბიძე მონდომებულია რუსთველზე ნეოპლატონიზმის გავლენის მიწერით რუსთველი იდეალისტური ფილოსოფიის პოზიციებზე მოაქციოს. რუსთველში [illegible] ასეთი „ზეგავლენით“ დანახვა რუსთველის ეპოქის იდეალისტურ აზროვნებასთან დაახლოებაა. ნეოპლატონიკოსები [illegible] და საერთოდ [illegible] პლოტინის [illegible] კანტის ფილოსოფიაში გონებისა და [illegible] ლიზმის სახით ნაზულობენ. როგორც პლოტინი შეგრძნებებს თანდაყოლილი წესების მიხედვით სჯის, ისე კანტიც შეგრძნებებს თავისი აპრიორული ფორმების მიხედვით ამუშავებს. კანტისათვის საგანი შეუცნობელია, პლოტინისათვის კი — ირეალური და ასეთივე შეუცნობელი წყვდიადია.

ამგვარად, შ. ნუცუბიძეს იდეალისტთა ბანაკში რუსთველის მოთავსებით იდეალიზმისადმი სამსახურის გაწევა სურს, არსებითად საკითხს ასე აყენებს: „დასავლეთში რუსთველმა მოძებნა ქვეყნის პრობლემა დაიხსნა, აღმოსავლეთში მან ამ პრობლემის გადასაჭრელი გზა მონახა“... ე. ი. „არც რეფლექტორული რაციონალიზმი დასავლეთისა და არც მისტიციზმი აღმოსავლეთისა—არამედ ნათელი მზე და ზომიერი სიყვარული. ასეთია რუსთველის ხედვა ორი ქვეყნის მიჯნაზე“ (გვ. 97).

ახლა ვნახოთ, თუ როგორ სწყვეტს რუსთველი ფილოსოფიურ საკითხებს. პროფ. შ. ნუცუბიძის გაგებით „ასე მთელი ამბის გასწვრივ — სწერს ნუცუბიძე —მოსჩანს მზე და მისგან მოფენილი სხივები და ეს მეტაფორა კი არაა, არამედ სინათლის სხივებით შეკრული მთლიანი ქვეყანა, სადაც მთავარი სინათლიდან [illegible] დაწყებული, სინათლე ეფინება მთელ ქვეყანას, ზეციდან დაწყებული ავარდამდე. ყველაფერი იმდენად ცოცხლობს, რამდენად მას [illegible] სხივი ეფინება: მოსცილდება და დაჭკნება“ (გვ. 38-39). მაშ ასე, შ. ნუცუბიძის გაგებით რუსთველის მთელი ფილოსოფია უბრალო მზეა, რომ ანათებს, რის სხივებიც ქვეყანას სინათლეს უგზავნის. ამ „ფილოსოფიამდე“ რუსთველის მსოფლმხედველობა დაყვანილი და საკითხავია, ნუთუ მართლაც ეს გაუბრალოება—ფილოსოფიაა? ნუთუ მზე რომ ანათებს, ამის აღნიშვნა რუსთველს ფილოსოფიურად მიაჩნია და ეს მოვლენა სხვამ ვერ შეამჩნია? ამისათვის რა საჭირო იყო რუსთველის გენიალობა, ფილოსოფიური ერუდიცია და განუმეორებელი მხატვრული ვირტუოზობა? „ვეფხისტყაოსანში“ მზის სინათლის „ფილოსოფია“ მხოლოდ შ. ნუცუბიძემ აღმოაჩინა!

ყველა წამოყენებულ მოსაზრებაზე შ. ნუცუბიძე უფრო ლოგიკურად ამ მოსაზრებას აეთიარებს, რუსთველს მზე ხშირად ეპითეტად აქვს ნახმარი. მზე და მთვარეს ხშირად შეყვარებულებს უწოდებს, მაგალითისათვის ავთანდილის მიმართვა გავიხსენოთ:

მო, მთვარეო, შემიბრალე, ვილევი
და შენებრ ვმჭლევდები,
მზე გამავსებს, მზევე გამლევს,
ზოგჯერ ვსრულდები, ზოგჯერ
ვმჭლევდები.

აქ მზის ფილოსოფია კი არაა წამოყენებული, არამედ ალეგორიულ ფორმაში შეყვარებულთა განცდაა მოცემული. რაც შეეხება იმ ფილოსოფიურ „პრობლემას“, რომ მზე მცენარეებს სიცოცხლეს აძლევს და მის გარეშე დაჭკნებიან—ეს რუსთველს ფილოსოფიურად კი არა აქვს წარმოდგენილი, არამედ მეტაფორად. ან იქნება XII საუკუნეში იმის შემჩნევა, რომ მცენარეები უმზეოდ ჭკნებიან, რუსთველს ფილოსოფიად [illegible] და შემდეგ ეს ბუმბერაზი მოაზროვნე პლატონისა, არისტოტელისა და პლოტინის გვერდით დავაყენოთ?! „ვეფხისტყაოსანში“ თინათინი ავთანდილს მზის [illegible] წარმოდგენილი და თავი-მთვარედ, ტარიელ ნესტანდარეჯანი ვეფხად და ვეფხის ტყავს მისთვის ატარებს, თვითონვე ტარიელ კი ლომად ყავს დასახული. მაშასადამე, ნუცუბიძის „არგუმენტაციით“ „ვეფხისტყაოსანში“ ლომ-ვეფხვის თაყვანისცემის ფილოსოფიაა წამოყენებული. შ. ნუცუბიძეს თავის ნაშრომში „ვეფხისტყაოსნიდან“ მოჰყავს:

მზესა იტყვის — მზეო, გიტყვი
თინათინის ლაწვთადარად,
შენ მას ჰგავ და იგი შენ გგავს,
თქვენ ანათებთ მთა და ბარად.

„ეს მთა და ბარი ინდოეთიდან მომავალ ცისა და ქვეყნის კონკრეტული სახე უნდა იყოს. ზეცის მთის გვირაბის აქეთ, რიგვედის მიხედვით, იწყება სინათლის ზეცა, რომელმაც ბნელი არ იცის“ (40). მაშ ასე: ნუცუბიძეს „ვეფხის ტყაოსანში“ მზის „ფილოსოფიის“ წამოყენება იმისათვის დასჭირდა, რომ პოემის იდეოლოგია რიგვედის ჰიმნებს დაუკავშიროს. ნუცუბიძე რიგვედის ნამდვილ არსს ჩქმალავს და მხოლოდ ინდურ მსოფლმხედველობად აცხადებს: „რუსთველი გარკვეულად უფრო ახლო დგას ინდურ მსოფლმხედველობასთან“ (გვ. 41). როგორც ცნობილია, რიგვედა წმინდა არიული მითიური ჰიმნებია, რაც ინდოეთში ყოფნის დროს ბარბაროსობის პერიოდში არიელებმა შექმნეს. რიგვედას, როგორც პირველ წყაროს არიულ ჰიმნს საერთოდ ფაშისტები ეთაყვანებიან. რიგვედაში მხოლოდ ფაშისტს შეუძლია „დიდი“ და „ღრმა“ ფილოსოფია დაინახოს და შემდგომი ფილოსოფიური აზროვნება არარაობად მიიჩნიოს, ყოველივე რიგვედის ძირებამდე დაიყვანოს. შ. ნუცუბიძე აქ, ცხადია, რუსთველის მსოფლმხედველობის „რიგვედიზაციას“ ახდენს და რუსთველის ალეგორიისა და პოეტური განსახღვრებისადმი არა ფრთხილი მოპყრობის გამო რუსთველის მაღალი ფილოსოფიური მსოფლმხედველობა დაბალი, რიგვედის მზის მითიურ ფილოსოფიამდე დაჰყავს. რიგვედის ჰიმნებს ყველა ინგლისელი და გერმანელი მკვლევარი პირველ არიულ ძეგლად და პირველყოფილ მითიურ მსოფლგაგებად სთვლის. ნუცუბიძეს რუსთველი ევროპული ფილოსოფიის მწვერვალიდან ამ დაბალ არიულ მითიურ მსოფლგაგებამდე ჩამოჰყავს.

საერთოდ შ. ნუცუბიძის მსჯელობა რუსთველის იდეოლოგიის შესახებ „საფიქრებელის“ და „თუ“ ფარგალს არ სცილდება. აი მისი მეცნიერული არგუმენტაციის სტილი: „და თუ ეს ასეა, მაშინ საფიქრებელია, რომ იგივე აღმოსავლეთი უფრო ახლო მდგარ პოეტზე, რუსთველზედაც გავლენას მოახდენდა“. ან: „არის თუ არა აღმოსავლეთის გავლენა ერთი და იმავე ხასიათის მატარებელი ძირითადში, რადგან თუ ეს ასე იქნება“, (47) და ა. შ.

შ. ნუცუბიძის ლოგიკას „და თუ ასეა“, „თუ ეს ასე იქნება“ და „საფიქრებელია“ უდევს საფუძვლად. აქედან, მისი გაგებით რუსთველი ნაწილობრივ მანიქეველიცაა და ნეოპლატონელიც, ქრისტიანული მსოფლმხედველობის მატარებელიც და [illegible], სუფიზმისაც და [illegible] და არიულ რიგვედასთან დაახლოვებულიც!

* * *

პ. ცინცაძე თავის ნაშრომში რუსთველის იდეოლოგიისა და მხატვრულ ხერხების ახსნისას, ავტორი რადიკალურად საწინააღმდეგო დებულებას აყენებს რუსთველის მსოფლმხედველობის შესახებ და ცდილობს მისი სტოელობა დაამტკიცოს, რასაც ძირითადად კიდევაც ახერხებს, ე. ი. რუსთველზე სტოელთა ფილოსოფიის გავლენას საკმაო დამაჯერებლობით არკვევს და—მეთოდოლოგიურად ძირითადად სწორადაც. დღემდე უცნობი იყო სტოიციზმის წარმოშობის პირობებსა და ჩვენს—XII საუკუნეს იხილავს და იმას, თუ რამდენად შესაძლებელი იყო—XII საუკუნის საქართველოში სტოიციზმის გავრცელება და აყვავება. პ. ცინცაძის ნაშრომის ღირსებად უმთავრესად ის უნდა მივიჩნიოთ, რომ ის ზოგად მოსაზრებებს კი არ ემყარება, ანტიკლერიკალურ ყალბ პათოსს, არამედ „ვეფხის ტყაოსნის“ მსოფლმხედველობისა და სტოელთა ფილოსოფიის ანალიზის საფუძველზე ყოველ საკითხს კონკრეტულად არკვევს. ავტორს კონკრეტულად და დასაბუთებულად აქვს განხილული ღმერთის, ფატალიზმის, სიკვდილ—სიცოცხლის, ბრძენი, პიროვნების, მეგობრობისა და ქალის საკითხები „ვეფხის ტყაოსანსა“ და სტოელთა ფილოსოფიაში. ნაშრომი ისეა შეკრული, რომ ყოველი თავი თავის მხრივ ამტკიცებს და აღრმავებს ერთ და იმავე აზრს. ეს ნაშრომი მკითხველს უეჭვო გარკვეულ თვალსაზრისს აძლევს. უეჭველია, ამ ნაშრომს რუსთველოლოგიაში ახალი სხივი შეაქვს.

სტოელების კოსმოპოლიტიზმი კი რუსთველს სხვადასხვა ერიანების ადამიანთა მჭიდრო მეგობრობითა და სხვადასხვა სახელმწიფოთა თავისუფალი თანასწორი ურთიერთდამოკიდებულებითა აქვს გამოხატული.

ქალის მამაკაცთან უფლებრივი, პოლიტიკური და მორალური გათანასწორების პრობლემაც რუსთველს სტოიციზმის გავლენით აქვს გადაწყვეტილი, სტოიციზმის მაღალი ზნეობრივი პრინციპების ზეგავლენით. რუსთველს ქალი ცნების დაქვემდებარების წყაროდ კი არ მიაჩნია, არამედ უფრო თანასწორ, სრულყოფილ პიროვნებად. მიუხედავად რუსთველის მსოფლმხედველობის წყობრივ — კლასობრივი განსაზღვრულობისა, მისდროინდელ ტრადიციების არტახებისა, „ვეფხის ტყაოსანს“, თუ კარგად შევისწავლით, დავინახავთ, რომ რუსთველის ფილოსოფიური — პოეტური შემოქმედება სტოიციზმის მაღალი ზნეობრივი პრინციპებითაა განათებული და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ის ზომიერების გრძნობის აპოლოგიას წარმოადგენს. „ვეფხისტყაოსანი“ სტოელთა ჰუმანისტური იდეოლოგიითაა გაჟღენთილი, მაგრამ ისიც, რომ რუსთველის ფილოსოფიურ — პოეტური შესაძლებლობანი ეკლექტიკისა, სინკრეზისა და სხვ. ფილოსოფიურ ნაზავესა და სენტენციებს ჩრდილავს.

„ვეფხისტყაოსანში“ ადგილი არა აქვს იმ რელიგიურ სპეკულატიურ აზროვნებას, რაც ნეოპლატონიზმმა შექმნა. „ვეფხისტყაოსანი“ ამქვეყნიური ცხოვრების სიმღერაა. კოლოსალურია ამ უდიდესი ძეგლის კლასობრივ — შემეცნებითი ფუნქცია.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ცინცაძის კრიტიკული ეტიუდი თავისი მეთოდოლოგიური გეგმითა და მასალის მეცნიერული დამუშავებით, პრობლემების გაბედული დაყენებითა და ძირითადად სწორად გადაჭრით, რუსთველოლოგიის მნიშვნელოვანი და სერიოზული შენაძენია.

◆

---

*) საკითხის განხილვის წესით. რედ.

მკითხველებს დროულად მივაწოდოთ ჟურნალ-გაზეთები

სექტემბერში „სოიუზპეჩატის" საქართველოს განყოფილებამ საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის გამომცემლობა „კომუნისტთან" ერთად ჩაატარა რაიონების კავშირგაბმულობის, „სოიუზპეჩატის" და გამომცემლობის რაიონული მუშაკების თათბირი, თათბირზე მოწვეულნი იყვნენ პრესის გამავრცელებლები და პარტიულ, პროფესიულ ორგანიზაციებისა და წარმოებათა წარმომადგენლები.

თათბირზე გამოაშკარავდა „სოიუზპეჩატის" და კავშირგაბმულობის მუშაკთა მთელი რიგი ბოროტმოქმედებანი, ზოგიერთმა მუშაკმა ვერ შეიგნო, რომ ბეჭდვითი სიტყვა ერთადერთი იარაღია, რომლის დახმარებით პარტია ყოველდღიურად ყოველ საათობით ესაუბრება მუშათა კლასს მისთვის საჭირო ენაზე.

პრესის გავრცელების საქმე ზოგიერთ რაიონში თვითდინებაზე არის დაყრდნობილი. მთელი რიგი მუშაკები გულგრილად ეპყრობიან ამ საქმეს. ახალქალაქის რაისაგაზეთო ბიუროს უფროსმა გამგემ სახნოვამ გაფლანგა ხელისმომწერთა 3.800 მანეთი; იგი დღემდე არ არის პასუხისგებაში მიცემული. „სოიუზპეჩატის" საქართველოს განყოფილებამ საქმის გამოსარკვევად მიავლინა მშველიძე და თათეოსიანი. მათ აღმოაჩინეს გაფლანგვა, შეადგინეს აქტი და შემდეგ დავიწყებას მისცეს ეს ამბავი. სახნოვა დღესაც არხეინად არის, ხელისმომწერნი კი არ არიან დაკმაყოფილებულნი გაზეთებით.

ცხადია, ასეთი მოქმედება სცემს „სოიუზპეჩატის" მუშაკების ავტორიტეტს მოსახლეობის თვალში. „სოიუზპეჩატისა" და კავშირგაბმულობის მუშაკების მოუქნელი მუშაობით მკითხველთა ფართო მასები ხშირად რჩებიან უგაზეთოდ. „სოიუზპეჩატს" არ ჰყავს შესწავლილი მოსახლეობა რაიონების მიხედვით და არა აქვს ცნობები ამათუიმ რაიონის მოსახლეობის შესახებ. მაგალითად, ბოგდანოვკის რაიონში გაზეთი „პროლეტარი" (სომხური) შეიძლება გავრცელდეს 1000 ცალამდე, ახლა კი მიცემული გეგმით მხოლოდ 70 ვრცელდება.

უარესი მდგომარეობაა ხულოს რაიონში, გაზეთი „კომუნისტი" გავრცელებულია მხოლოდ 64 ცალი რაოდენობით, იმ დროს, როდესაც რაიონში მასწავლებელთა რიცხვი 450 კაცს აღემატება. რაიონში „სოიუზპეჩატს" არა ჰყავს თავისი რწმუნებული.

ბათუმის საფოსტო განყოფილებაში ექსპედიციის გამგე პეტროსიანი უხეშად ეპყრობა ხელისმომწერლებს მათ კანონიერ მოთხოვნაზე, რომ დროზე მიაწოდონ გაზეთი, იგი დაცინვით უპასუხებს, „სჯობია გაზეთი შეიძინოთ საცალო გაყიდვით, მაშინ ჩვენთვისაც კარგი იქნებაო".

მაგრამ არის რაიონები, სადაც კავშირგაბმულობის და „სოიუზპეჩატის" მუშაკები ენერგიულად მუშაობენ და კარგად ასრულებენ გეგმებს.

მაგალითად, კარგად მუშაობენ ბორჯომის კავშირგაბმულობის მუშაკი ამხ. ტაბატაძე, „სოიუზპეჩატის" რწმუნებული ამხ. ნარსია და ჩოხატაურის „სოიუზპეჩატის" რაიბიუროს გამგე ამხ. ცინცაძე. ოზურგეთის, ლანჩხუთის, ჭიათურის, ვანის და ხაშურის რაირწმუნებულებს ეტყობათ ინიციატივა და მუშაობის ხალისი.

თათბირმა კავშირგაბმულობას და „სოიუზპეჩატის" მუშაკებს მისცა მითითებანი შემდგომი მუშაობის გასაუმჯობესებლად. საჭიროა მათი დაუყოვნებლივი განხორციელება.

„კომუნისტის" გამომცემლობის გამგის მოადგილე
ა. ომაროვი.

◇

ტექნიკოსი თუ ხულიგანი?

წულუკიძის ქ. № 4 საცხოვრებელი შენობა ორჯონიკიძის რაიონის სახლტრესტმა სანიმუშო სახლად გამოაცხადა. რამდენიმე ათეული ათასი მანეთი გადაიდო ამ სახლის კეთილმოსაწყობად. კაპიტალური რემონტიც დაიწყო. ეს ყველაფერი კარგია. მაგრამ მთელი უბედურება იმაშია, რომ ამ სანიმუშო სახლში უმსგავსო და ყოვლად უწესო ოჯახიც არის შესახლებული. ჩვენ მხედველობაში გვყავს ტექნიკოსად წოდებული ბორია მაწილის-ძე მერაბოვი (მერაბიშვილი), მისმა ოჯახმა ცოტა ხანში 4-5-ჯერ გამოიცვალა ბინა. ყველა სახლიდან ერეკებიან მათ. წესიერი ოჯახები ვერ ითმენენ მერაბოვის ოჯახის უმსგავსობას. ჩვენ სახლშიც ბოლო არ ელება მერაბოვების უსინდისობას და თავხედობას, აგრეთვე სახლის სამართლის დანაშაულსაც.

სახლის რემონტისათვის მოტანილი ცემენტი მოიპარეს და საკუთარ სარდაფში გადამალეს. მეზობლებმა ამხილეს სახელმწიფო ქონების მტაცებელი, რის გამოც გაანჩხლებულმა ტექნიკოსმა — ბორიამ და მისმა დედამ სცემეს ამავე შენობაში მცხოვრებ 14 წლის გოგონა ნინო თენიეშვილს. ბავშვი სიკვდილის პირას მიაყენეს. საქმეში მილიცია ჩაერია. საქმე იმით გათავდა, რომ მერაბოვის ოჯახი ასი მანეთით დააჯარიმეს. ეს მეტად მსუბუქი სასჯელია ისეთი ოჯახისთვის, რომლისგანაც მცხოვრებლებს ლანძღვა-გინებისა და შეურაცხყოფისა მეტი არაფერი ახსოვთ. ეს ხულიგანი ბორია მეზობლის ქალებს უშვერი ქუჩური სიტყვებით შეურაცხყოფას აყენებს.

მოვითხოვთ ამ ხულიგნების მკაცრ დასჯას და მათ გასახლებას ჩვენ სანიმუშო სახლიდან.

მობინადრეები: **კომახიძე, ნიკოლაიშვილი ვლადიმერაშვილი, კონდრატიევა, მახარაძე, მირიანაშვილი, სულაქველიძე, ელენტი, ორაგველიძე, მირიანაშვილი.**

ობლიგაციების გამოცვლა

ხუთ დღეში გამოცვლილია 31.213.265 მანეთის ობლიგაციები

1 ოქტომბრიდან 6 ოქტომბრამდე (ხუთი დღის განმავლობაში) 2.011 კოლექტივიდან წინათ გამოშვებულ სახელმწიფო სესხთა ობლიგაციების გამოცვლა სწარმოებდა 1.540 კოლექტივში. ობლიგაციების გამოცვლა, ამ ხნის განმავლობაში დამთავრდა 221 კოლექტივში. ძველი ობლიგაციები გადასცვალა ახალზე 49.327 კაცმა. გადაცვლილი ობლიგაციების თანხა უდრის 31.213.265 მანეთს.

ობლიგაციების გადაცვლისას სწარმოებდა მათი შემოწმება და მომგებიანი ობლიგაციების გადარჩევა. 5 დღეში გამომჟღავნდა 9.359 მოგება. მომგებიანი ობლიგაციების მეპატრონეებს დაურიგდათ 698.621 მანეთი მოგება.

სექტემბრის განმავლობაში კი დარიგებული იყო 679.082 მანეთის მოგება.

◇

ლაშქრობა პამირის მწვერვალების ასაღებად

ოშა, 6 ოქტომბერი (რადიო, ჩვენი სპეც. კორ.) მუშურ-გლეხური წითელი არმიის ალპინიზმის ოსტატთა რაზმმა დაამთავრა პამირის მწვერვალების გამოკვლევა. შესწავლილია სტალინის პიკის მისასვლელი გზები. რაზმი დაიყო ჯგუფებად. ალპინისტებმა ბარხაშმა და ლენინგრადელმა ალგამბროვმა შეისწავლეს კრუპსკაიას პიკის მისასვლელი გზები (კრუპსკაიას მწვერვალის სიმაღლეა 5900 მეტრი). გამოიკვლიეს ყორალ-შაფაქის ყინვარი. ლენინგრადელმა ალპინისტებმა ბელეცკიმ, ფედოროვმა და მოსკოველმა გუშინმა შეისწავლეს „ოთხთა პიკის" (6200 მეტრი) მისასვლელი გზები; ალპინისტები ტუშინი და ტუსაკი ავიდნენ იაგოდას სახელობის მწვერვალზე, ხოლო ჯაფარიძემ და ტუსაკმა შეისწავლეს კორჟენევსკაიას პიკის (7100 მეტრი) მისასვლელი გზები და აიღეს უსახელო მწვერვალი.

აღმოჩენილია დღემდი უცნობი ყინვარი, რომლის სიგრძე 6 კილომეტრს უდრის. ამჟამად რაზმი უკან ბრუნდება და ფერგანს უახლოვდება.

ა. ჯაფარიძე.

◇

ტფილისის ცირკის შენობას ახალ ადგილზე აგებენ

წინასწარი ვარაუდით, ტფილისის ცირკის ახალი შენობა უნდა აიგოს ყოფ. მადათოვის კუნძულზე, ახალი სანაპირო ქუჩის მახლობლად. საქ. სახკომსაბჭოში ამ საკითხის ხელახლა განხილვისას გადასწყდა ცირკის მშენებლობა გადატანილ იქნას ახალ ადგილზე.

ტფილისის ცირკის შენობა აიგება საბჭოთა კავშირის გმირების მოედნის მახლობლად ჩელუსკინელთა ქუჩისა და ვერის ძველ პარკს შუა მდებარე პლატოზე.

მშენებლობა მინდობილი აქვს „საქკურორტმშენს".

ახალი ამბები

○ **ოქტომბრის რევოლუციის 19 წლისთავის** დღესასწაულისთვის ტფილისში მთავრდება ახალი სანაპირო ქუჩის მეორე უბნის მშენებლობა, ელბაქიძის ხიდიდან ვერის პარკამდე.

○ **საკავშირო ხალხთა აღწერისთვის** მზადების საქალაქო კომისიამ, რომელიც ტფილისის საბჭოსთან არის გამოყოფილი, დაამთავრა ქალაქის დაყოფა სააღწერო რაიონებად, უბნებად და კვარტალებად. სულ ტფილისში, სადაც მოსახლეობის რიცხვი ნავარაუდევია 455.000 კაცის რაოდენობით, გამოყოფილია 5 სააღწერო რაიონი.

○ **6 ოქტომბერს ბაქოდან** ტფილისში ჩამოვიდნენ აზერბეიჯანის თავდაცვა-ავიაქიმის საბჭოსი და აზერბეიჯანის მიწსახკომის მიერ მოწყობილი ცხენით გადასვლის მონაწილენი, რომელთაც თან მოიყვანეს სასამსახურო ძაღლები და საფოსტო მტრედები. მანძილი 650 კილომეტრამდე, გადასვლის მონაწილეებმა გაიარეს 12 სასიარულო დღეში.

ტფილისის აეროკლუბის ინსტრუქტორ-პარაშუტისტმა, კომკავშირელმა გ. ბახუტაშვილმა პარაშუტით გადმოხტომისათვის მოამზადა 126 წლის მოხუცი ზაქრო გელაძე. ზაქრო გელაძე დაიბადა ტფილისში და მთელი თავისი სიცოცხლე აქვე გაატარა, სადაც 1936 წლამდე მუშაობდა მეფურნედ. 5 ოქტომბერს ზ. გელაძე ამხ. გ. ბახუტაშვილის ხელმძღვანელობით პირველად გადმოხტა პარაშუტით აეროკლუბის კოშკიდან. 126 წლის მოხუცის პარაშუტით გადმოხტომა პირველი შემთხვევაა მსოფლიოში. გადმოხტომის შემდეგ ამხ. გელაძე საუცხოოდ გრძნობს თავს. მან სურვილი გამოსთქვა უახლოეს დროში კიდევ გადმოხტეს პარაშუტით. **სურათზე:** კოშკიდან გადმოხტომის შემდეგ ინსტრუქტორ-პარაშუტისტი ამხ. ბახუტაშვილი ულოცავს 126 წლის პარაშუტისტს ზ. გელაძეს წარმატებით დაშვებას. ფოტო **კიდეტოვისა** („სოიუზფოტო")

25 სექტემბერს მოსკოვში „დინამოს" სტადიონზე გაიმართა შეჯიბრება ფეხბურთში სსრ კავშირის საშემოდგომო პირველობაზე „ა" ჯგუფში. თამაშობდნენ „სპარტაკის" (მოსკოვი) და „დინამოს" (ტფილისი) გუნდები. შეჯიბრება დამთავრდა „დინამოს" გუნდის გამარჯვებით 1:0. **სურათზე:** თამაშის მომენტი

ს პ ო რ ტ ი

მოსკოვი — ტფილისი

დღეს, 8 ოქტომბერს, „დინამოს" სტადიონზე გაიმართება მორიგი კალენდარული მატჩი საბჭოთა კავშირის პირველობაზე „ა" ჯგუფში ტფილისის „დინამოსა" და მოსკოვის წითელი არმიის ცენტრალური სახლის გუნდს შორის.

დამახასიათებელია, რომ საბჭოთა კავშირის საშემოდგომო პირველობის გათამაშებაში ამ გუნდებს ჯერჯერობით ქულების ერთნაირი რაოდენობა აქვთ (შვიდ-შვიდი): „დინამოს" აქვს ორი ფრე (მოსკოვის „დინამოსთან") და ერთი გამარჯვება (მოსკოვის „სპარტაკთან"), ხოლო წითელი არმიის სახლის გუნდს ორი გამარჯვება (მოსკოვის „ლოკომოტივთან" და ლენინგრადის „დინამოსთან") და ერთი დამარცხება (ლენინგრადის „კრასნაია ზარიასთან").

წითელი არმიის გუნდი და „დინამო" პირველად ხვდებიან ერთმანეთს, მოსკოვის წითელი არმიის სახლის გუნდი უკანასკნელად ტფილისში იყო 1928 წელს. მაშინდელი მოთამაშეებიდან გუნდში თითქმის აღარ არის. გუნდი მთლიანად ახალგაზრდა ფეხბურთელებისაგან შესდგება.

მოსკოველების კოლექტივში შედიან: მეკარე — ლეონოვი (სტუდენტი), მარჯვენა მცველი — ლისკოვსკი (მოსკოვის აერო-ჰიდროდინამიკური ცენტრალური ინსტიტუტის ინჟინერი), მარცხენა მცველი — სავინოვი (სამხედრო ტექნიკოსი), მარჯვენა ნახევარმცველი, იგივე გუნდის კაპიტანი ზინკინი (სამხედრო ტექნიკოსი), შუა ნახევარმცველი — მალინინი (წითელარმიელი), მარცხენა ნახევარმცველი — შლიკოვი (წითელარმიელი), მარჯვენა განაპირა — მიტრონოვი (წითელარმიელი), მარჯვენა ინსაიდი — როსხაინცევი (წითელარმიელი), თავდამსხმელთა ცენტრი — ზაგრიცკი (სამხედრო ტექნიკოსი), მარცხენა ინსაიდი — მიშეველევი (სამხედრო ინჟინერი), მარცხენა განაპირა — ისაევი (ბუღალტერი).

○

ჩვენს თანამშრომელთან საუბარში გუნდის კაპიტანმა ამხ. ზინკინმა განაცხადა:

— ჩვენ კარგად ვიცით ჩვენი „მოწინააღმდეგის" ძალა, მიუხედავად იმისა, რომ მას არასოდეს შეხვედრივართ ფეხბურთის მოედანზე. ტფილისის „დინამო" საბჭოთა კავშირის ერთერთი ძლიერესი გუნდია. მთავარი, რაც მას ღირსებას შეადგენს, ეს არის გამარჯვების დიდი წყურვილი, ერთსულოვნება, კოლექტიური ნებისყოფა, რომლითაც დინამოელები თამაშობენ.

ფეხბურთში ძნელია წინასწარმეტყველება. ეს ისეთი თამაშია, სადაც მრავალ მოულოდნელობას შეიძლება წააწყდეთ. ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ მოვუგებთ „დინამოს", მაგრამ მაინც შევეცდებით მთელი ჩვენი შესაძლებლობა ჩავაქსოვოთ თამაშში.

შედეგი მოედანზე გამოჩნდება.

○ ○ ○

„ლოკომოტივი" — „მშენებლები" (ა.-კ. ი. ი.) 3:1

6 სექტემბერს სტადიონზე შეხვდა „ლოკომოტივისა" და „მშენებლების" ამხანაგური შეხვედრა. თამაშის წინ „მშენებლებს" გადაეცათ მათ მიერ მოგებული „საქართველოს თასი". გუნდს მიესალმა საქ. სახკომსაბჭოსთან არსებული ფიზკულტურის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ჩიქვაიძე და ამხ. გურულაშვილი. „მშენებლების" სახელით უპასუხა გუნდისთავმა ცალინიავმა.

შემდეგ დაიწყო „ამხანაგური" თამაში, რომელიც სამწუხაროდ არაამხანაგური, ერთი მხრივ მტრული იყო.

პირველ ტაიმში „მშენებლებს" უპირატესობა ჰქონდათ. მაგრამ ისინი მხოლოდ გარემარბებს თამაშობდნენ, რომლებსაც „ლოკომოტივის" ნახევარმცველები კარგად ეგებებოდა. მხოლოდ მე-35 წუთს დ. რამიშვილმა ძალიან მაგარი დარტყმით შეაგდო პირველი ბურთი „ლოკომოტივის" კარში.

მეორე ტაიმი კი „ლოკომოტივს" ეკუთვნოდა, რომელმაც სამი გოლი გაიტანა და ამრიგად თამაში 3:1-ით მოიგო.

თამაში პირველ წუთებიდანვე მწვავე და მეტად „უხეში იყო. უხეშობა „ლოკომოტიველებმა" დაიწყეს და „მშენებლებმა" განაგრძეს. მსაჯი ლარიონოვი თავიდანვე ვერ დაიპატრონა ბრძოლას და ენერგიული ჩარევის ნაცვლად მიმართა მხოლოდ გაფრთხილებებს „გაფრთხილებებს". მაგრამ, როგორც უნდა სჯიდეს მსაჯი — გაძევებული მოთამაშე იმ წამსვე უნდა გავიდეს მოედნიდან და არ უნდა აიძულოს უცხო პირთა ჩარევა, რაც დ. რამიშვილმა ჩაიდინა. ეს არ არის პირველი შემთხვევა, რომ „მშენებლების" მოთამაშე უარს აცხადებს გარეთ გასვლაზე და ამით მატჩის ჩატარებას საფრთხეში ხდის. მით უფრო სამარცხვინოა ეს საქციელი, რომ ეს „მშენებლების" ხაზეთ თამაშის დროს მოხდა.

დ. ვ.

ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა

სეზონის გახსნა მარჯანიშვილის თეატრში

5 ოქტომბერს ა. აფინოგენოვის „მორიელით" გაიხსნა სეზონი მარჯანიშვილის სახელობის თეატრში. [illegible] სცენაზე გადაშლილ ციმბირის ტაიგის ლამაზ სურათს (სპექტაკლის მხატვრული გაფორმება ეკუთვნის პროფ. დ. კაკაბაძეს). მაყურებლებმა შეიყვარა აფინოგენოვის პიესის გმირები. მათ გამოჩენას სცენაზე დარბაზი ტაშით ხვდებოდა. სპექტაკლს, რომელშიაც მონაწილეობდნენ თეატრის საუკეთესო ძალები—რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები შ. ღამბაშიძე (მეთაური მალკო), ვერიკო ანჯაფარიძე (ეგნია), ელ. ჭონიაური (ლიუბა), ორდენოსანი თამარ ჭავჭავაძე (ცლაშა), არტისტები ე. გოძიაშვილი, ს. თაყაიშვილი, მ. სარაული, ალ. გომელაური, გ. შავგულიძე, შ. ჯაფარიძე, დიდი წარმატება ჰქონდა.

„მორიელის" შემდეგ აღდგენილი იქნება „მზის დაბნელება საქართველოში", „ურიელ აკოსტა" და „ცხვრის წყარო". ახალი პიესებიდან თეატრი პარალელურად ამზადებს ორ დადგმას—გ. ბაზოვის „იცკა რიჟინაშვილს" და ვ. გაბესკირიას „ეს კაცი". ორივე ნაწარმოები იქნება სეზონის პირველ ნახევარში. ამათ შემდეგ დაიდგმება ქ. კალაძის „ზრილი ღამეების რაინდი" და ი. მჭედლიშვილის „ოიანაზელა".

მარჯანიშვილის სახელობის თეატრმა სეზონის დაწყების წინ საფუძვლიანი რემონტი ჩაატარა, განათების სისტემა რეკონსტრუირებულია. დარბაზი და ფოიეები რემონტის შემდეგ უფრო ლამაზად გამოიყურებიან. ფოიეები მორთული იქნება პალმებით და რბილი სავარძლებით.

◇

ა ხ ა ლ ი წ ი გ ნ ე ბ ი

„ფედერაციის" სერიით პლატონ იოსელიანის „გიორგი XIII"-ს წიგნი გამოვა ნოემბერში.

გაიბეჭდა და გამოვიდა რაჟდენ გვეტაძის წიგნი „ლამაზი სალამური". წიგნში მოთავსებულია რომანი: „ლამაზი სალამური" და მოთხრობები ხელოვნებაზე: „მაზრა" და „სერგეი". წიგნი შეიცავს 350 გვერდს, გამოცემულია კარგად, გაკეთებული აქვს კოლენკორის ყდა სუპერით. ღირს 5 მან. და 25 კაპ. გამოცემა „ფედერაციის".

◇

პარტკალენდარი

ლადო კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში

პროპაგანდისტთა სკოლის მეცადინეობა (ქართული ჯგუფები). დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის კაბინეტი — კონსულტაცია საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელი წრეების პროპაგანდისტთათვის თემაზე — „ცარიცინის დაცვა ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით 1918 წელს". საღამოს 8 საათზე.

ლენინიზმის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: „ამხანაგ სტალინის სიტყვა სტახანოველთა პირველ სრულიად საკავშირო თათბირზე — მეცნიერული კომუნიზმის პრობლემების შემდგომი განვითარება და კონკრეტიზაცია". საღამოს 8 საათზე.

აგიტაციის კაბინეტი — კონსულტაცია აგიტატორებისათვის თემაზე — „ესპანეთის რევოლუციის ხასიათი და მამოძრავებელი ძალები. საღამოს 8 საათზე.

ალკკ კაბინეტი. ჯგუფური კონსულტაცია პროპაგანდისტებისა და კომკავშირელი აქტივისათვის თემაზე — საქ. ალკკ ც. კ-ის კომკავშირული ორგანიზაციების საანგარიშო - საარჩევნო კამპანიის ჩატარების შესახებ". საღამოს 8 საათზე.

○

პარტიული კონტროლის კომისიის პარტკოლეგია წინადადებას აძლევს [illegible] სამი დღის განმავლობაში გამოცხადდეს ამხ. ლ. ნიჟარაძესთან.

საქ. კ. პ. (ბ) ტფილისის კომიტეტთან პარტკაბინეტის და [illegible] საქალაქო კურსების მეცადინეობა 8 ოქტომბრიდან გადატანილია 9 ოქტომბრისათვის იმავე შენობაში.

რემედასის ტფილისის მე-V კონფერენცია

გაიხსნება 10 ოქტომბერს, საღ. 7 საათზე, მარშალ ვოროშილოვის სახელობის კლუბში (კომინტერნის ქ. № 5).

დელეგატებმა მანდატების მისაღებად უნდა მიმართონ რემედასის საქ. ც. კომიტეტში (ლენინარსკის ქ. № 8), დილით 9-დან 3 საათამდე და საღ. 7-დან 10 საათამდე.

უფ. 2—1 ორგკომისია.

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენის თეატრი 1936-37 წ. სეზონი

8 ოქტომბერს	შემოდგომის აზნაურები
9 ოქტომბერს	შემოდგომის აზნაურები
10 ოქტომბერს	არსენა

სეზონის მუდმივი ადგილების შეძენის ვადა გაგრძელებულია.
სალარო ღიაა 12 საათიდან 8-ნახ. საათამდე.
დასაწყისი 8 საათზე

მარჯანიშვილის სახ. თეატრი

8 ოქტომბერს წარ. № 3	მორიელი
9 ოქტომბერს წარ. № 4	მორიელი

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
ბილეთები თეატრის სალაროში დილის 11—საღამოს 8—9 საათამდე.

კინოთეატრები

ოქტომბერი 5, 7, 9, 11	ახალი ხმოვანი მხატვრული ფილმი კაპიტან გრანტის შვილები ჟიულ ვერნის მიხედვით. კინო-თეატრ ოქტომბერში სეანსები დღის 12 ს-ზე
დამკვრელი სახამ. 6-30, 8-30, 10-30 სახალ. 8, 10	
კომკავშირელი სახამ. 6-30, 8, 9-30, 11 სახალ. 8, 10	სახამ. შენობ. ხმოვ. ფილმი სამნი ერთი ქუჩიდან სახალ. შენობ. დიდი ქალაქის ჩირაღდნები
რ. ლუქსემბურგის სახ. დასაწ. დღის 12 საათიდან	ხმოვანი ამერიკული ფილმი დიდი ქალაქის ჩირაღდნები
26 კომ. სახ. 8, 10	ხმოვანი ფილმი დიდი ქალაქის ჩირაღდნები
კომინტერნი სახალ. 8, 10	ხუმარა პინგვინები, მიკი დირიჟორი, ახალგაზრდობის მარში, კვარტეტი და სხვ.

სახელმწიფო ცირკი ელბაქიძის დაღ. 14. ტელ. 3-11-44.
დიდი საცირკო წარმოდგენა 3 განყოფილებად.
პირველი ციკლის მრავალფეროვანი შეცვლილი პროგრამით.
ჩამოვიდნენ და გამოდიან 6 ახალი გასტროლიორები
დასაწყისი 8 საათსა და 30 წუთზე, სალარო ღიაა 12-დან 2 ს მდე და 5 საათიდან
ამ დღეებში პირველი საბჭოთა მწვრთნელის ნ. ა. გლადილშჩიკოვის გასტროლები. მტაცებელთა და ცხოველთა შერეული ჯგუფი.
12 ოქტ. დღის მორიგი წარმოდგ. დაკლებ. ფასებში დასაწ. 2 საათ.
დღის და ყოველდღე

საქ. სარეწეტუქავშირის პრეზიდიუმის დადგენილებით (ოქმი № 1)

ხდება არტელ „ტყემშენის" ლიკვიდაცია

პრეტენზიები მიღებული იქნება 15 ოქტომბრამდე.
ლიკვიდკომის მისამართი: რიგის ქ. № 33.
16285 ლიკვიდკომი.

წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის ორჯონიკიძის რაიონის (ყოფ. ხარაგეულის) კომიტეტის საწარმოებისა და სავაჭროების სალიკვიდაციო კომისია ამით აცხადებს, რომ

საქ. წითელი ჯვრის ც. კ.-ის პრეზიდიუმის დადგენილებით რეორგანიზაციასთან დაკავშირებით ხდება

საწარმოთა ლიკვიდაცია

ყოველგვარი პრეტენზიები მიიღება ა. წ. 15 ოქტომბრამდე—ორჯონიკიძის რაიკომიტეტში სალიკვიდაციო კომისიის სახელზე. 15 ოქტომბრის შემდეგ პრეტენზია აღარ მიიღება.
778 სალიკვიდაციო კომისია.

საქ. სახკომსაბჭოს 1936 წ. 11 აგვისტოს № 977 დადგენილებისა და საქ. მიწსახკომის მეცხოველეობის ტრესტის ბრძანების საფუძველზე, 1-ლი ოქტომბრიდან ხდება **ნორიოს მესაქონლეობის საბჭოთა მეურნეობის ლიკვიდაცია** ყველა პრეტენზია მეურნეობისადმი წარმოდგენილ უნდა იქნას ორი კვირის განმავლობაში დღიდან გამოცხადებისა. შემდეგი მისამართით: ნორიოს მესაქონლეობის საბჭოთა მეურნეობის ლიკვიდკომს. აღნიშნულ ვადის შემდეგ არავითარი პრეტენზია აღარ მიიღება.

16310 ნორიოს მეურნეობის სალიკვიდაციო კომისია.

თანახმად არტელ „ზაკოტფანერის" და არტელ „ყვარბოძის" წევრთა საერთო კრების დადგენილებისა, არტელი „ზაკოტფანერა" და არტელი „ყვარბოძი" გაერთიანდნენ მთლიანი აქტივ-პასივით, გაერთიანებიდან სახელწოდებით

„ზ ა გ ო ტ ფ ა ნ ე რ ა".

გატარებულია რეგისტრაციაში სტალინის სახ. რაიფინგანში საანგარიშსწორებო ანგარიში საბბანკის ქ. ტფილისის გან-ში № 105109. კანტორა—პოლიტკატორღელთა ქ. № 5. ტელეფ. № 3-37-43.

16317 გამგეობა.

სსრკ სახკომსაბჭოსთან არსებული ფიზკულტურის საქმეთა კომიტეტის საკავშირო

კინო-კანტორა

ა. წ. 5-დან 15 ოქტომბრამდე **აცხადებს** მსმენელთა მიღებას ავტოსაქმის საღამოს ხმოვან კინო-კურსზე **ლექციათა ციკლით ქუჩაში მოძრაობის წესების შესახებ**—წარმოებ-დან მოუწყვეტლივ.

მთელი კურსის გავლა ნავარაუდევია 2 თვეში.

კურსდამთავრებულნი მიიღებენ ცნობას, რომ მათ მოისმინეს ხმოვანი კინო-კურსი ავტომობილის აგებულებაზე და ლექციების ციკლი ქუჩაში მოძრაობის წესების შესახებ.

კურსის მოსმენის ფასი: ავტოსკოლის მოწაფეებისათვის—30 მან., პროფესიონალი შოფერებისათვის—40 მან., დანარჩენებისათვის—45 მანეთი. ლექციებისათვის „ქუჩაში მოძრაობის წესები" დამატებით გადაიხდება 15 მან.

მეცადინეობა დაიწყება ა. წ. 15 სექტემბრიდან.

მიღება დილის 9 საათიდან დღის 4 საათამდე და საღამოს 7-დან 9 საათამდე შოფერთა კავშირის ჯგუფური კომიტეტის სადგომში—პლეხანოვის პროსპ. № 155. ტელეფონი 3-25-20.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული ფიზკულტურის საქმეთა საკავშირო კანტორის რწმუნებული.
677

განცხადება ორგანიზაციებს, საწარმოებისა და დაწესებულებებისაგან საწერ მანქანებზე

თურქული, აზერბაიჯანული და ასური შრიფტით და კლავიატურით (ახალი ალფაბეტი), 1937 წელს ჩაბარებით, მიიღება „ლომიშსბიტის" მაღაზიებში 15 ოქტომბრამდე.

ქ. ტფილისი—თოდრიას ქ. № 4, ქ. ბაქო—ზევინის ქ. № 9, ქ. ხანქენდი—ინტერნაციონალის ქ. № 76, ქ. ერევანი—შაუმიანის მოედანი № 7. 792

სამტრესტის ბორჯომის ბაზა

იხსნება სამტრესტის ღვინომრეწველობის გამგებლობაში. გატარებულია რეგისტრაციაში ბორჯომის ფინგანში 1936 წ. 19 იანვარს, № 16. საქმიანობის საგანი: ღვინით და მაკარონით ვაჭრობა, მომარაგება ბორჯომის, ახალციხის, ახალქალაქის, ასპინძის და ადიგენის რაიონებისა. საანგარიშსწორებო ანგარიში № 75—7 საბბანკის ბორჯომის განყოფილებაში. მისამართი: ქ. ბორჯომი, შრომის ქ. № 5.

1039 დირექტორი ბ გოგალიძე. მთ. ბუღალტერი პატიაშვილი.

საქავტოტრესტის ბორჯომის განყოფილება

იხსნება საქკომსაბჭოს გამგებლობაში, გატარებულია რეგისტრაციაში ბორჯომის ფინგანში 1936 წ. 5 თებერვალს, № 4, საქმიანობის საგანი: ტრანსპორტი, ავტო, ექსპლოატაცია რაიონების ახალციხის, ადიგენი, ახალქალაქი, ბოგდანოვკის, ხაშურის და ხარაგეულის. საანგარიშო ანგარიში № 150—36 საბბანკში ბორჯომის განყოფილება. მისამართი: ბორჯომ-ბალი. პარიზის კომუნის ქუჩა.

1042 დირექტორი—გელაშვილი. მთ. ბუღალტერი—დევდარიანი.

საქართველოს სს რესპუბლიკის მიწსახკომის მეცხოველეობისა და მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობათა ტრესტი აცხადებს, რომ საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს 1936 წლის 11 აგვისტოს № 977 დადგენილების საფუძველზე, **1936 წლის 1 ოქტომბრიდან**

ხდება ლიკვიდაცია

ამ ტრესტის სისტემაში შემავალი ქვემოჩამოთვლილი საბჭოთა მეურნეობებისა:

1. ალაზნის	საბჭოთა მეურნეობისა—	წნორისწყლის სადგ., სიღნაღის რაიონი
2. პიაურის	„ „	ლაგოდეხის „
3. ყარაბულახის	„ „	ბაშკიჩეთი, ბაშკიჩეთის რაიონი.
4. ნორიოს	„ „	ტფილისის საგარეუბნო რაიონი.
5. ახალქალაქის	„ „	ქალ. ახალქალაქი.
6. ბოგდანოვკის	„ „	სოფ. გორელოვკა, ბოგდანოვკის რაიონი
7. გაიურ არხის	„ „	სანდარის სადგ., ბორჩალოს „

ორგანიზაციათა და პირთა ყველა პრეტენზია აღნიშნულ საბჭოთა მეურნეობებისადმი წარმოდგენილ უნდა იქნას 1936 წლის 15 ოქტომბრამდე (ე. ი. გაზეთ „ზარია ვოსტოკას" 1936 წ. 2 ოქტომბრის № 230-ში გამოქვეყნებიდან ორი კვირის ვადაში), რის შემდეგ არავითარი პრეტენზია არ მიიღება.

პრეტენზიები გაეგზავნოს საბჭოთა მეურნეობების ლიკვიდკომებს აღნიშნული მისამართებით.

საქართველოს მიწსახკომის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტთან საბჭოთა მეურნეობების სალიკვიდაციოდ შექმნილი ცენტრალური ლიკვიდკომის თავმჯდომარე **მიქელაძე.**

1936 წ 29 სექტემბერი, ტფილისი. 676

ქ. ტფილისის სტალინის რაიონის სახალხო სასამართლოს უფროსი აღმასრულებელი **შ. ა. ჯანაშია** ამით აცხადებს, რომ ა/წ. 10 ოქტომბერს დღის 12 საათზე ტფილისში, პლეხანოვის პროსპექტზე № 67

საჯარო ვაჭრობით გაჰყიდის

სერგო გრიგოლის ძე ხახუტაიშვილის ქვემოჩამოთვლილ საოჯახო ნივთებს: შიფონერი, ორადგილიანი ნიკელის საწოლი, კამოდი, კედლის საათი, სუფრის დანებს 7 ცალს, ფრაჟის ჩანგლებს 6 ცალს, სადილის თეფშებს ფაიფურისას 30 ცალს, ჩაის ლამბაქებს 6 ცალს, ჩაის ჭიქებს 4 ცალს, ჩაის კოვზებს ფრაჟისას 5 ცალს, მურაბის ქილებს 3 ცალს, ხილის ლარნაკებს 2 ცალს, სასადილოს მაგიდას, სკამებს 6 ცალს, პატარა მაგიდას, საბანს, პატარა სარკეს, ფრაჟის ჩაიდანს, ნავთურას, კედლის ხალიჩის ფარდებს 2 ცალს.

ზემოაღნიშნული ნივთები შეფასებულია 1020 მანეთად და გაიყიდება „ტფილბაგის" პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქალაქ ტფილისის გაერთიანებულ სახ. სასამართლოს მიერ გაცემული აღმასრულებელი ფურცლისა 1934 წლის 27 მაისის თარიღით, № 1764. 16346

გულმდუღრებული მშობლები: აქსენტი, მამო, ძმა ვახტანგ პატარაიები ულრმესი მწუხარებით იუწყებიან ძვირფასი პატარა

ნ ო რ ი კ ო ს

უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა მოხდა ს. ბანძაში, 6 ოქტომბერს. 16340

ზაქარია, ნინო, სონია, ლაკონი, ვანო, მარო, შურა, ჯუნია და მალვინა მეჩლიშვილები იუწყებიან, რომ 8 ოქტომბერს ქ. თელავში დანიშნულია სამოქ. პანაშვიდი დაუვიწყარი

მიშა ზაქარიას-ძე მუმლაძის

ხსოვნის აღსანიშნავად. 16345

ტფ. რკ. გზის ცენტრალური პოლიკლინიკის თანამშრომლები და პროფკომი თანაგრძნობას უცხადებენ ექიმ ოთარ მონასელიძეს და პოლიკლინიკის უფროსს ექიმ [illegible] ძვირფასი დედის

ალექსანდრა სიმონის-ასული მონასელიძის

გარდაცვალების გამო. 16352

თავზარდაცემული მშობლები: ზაბულია, ვასილ, ძმა კიკნაველიძეები იუწყებიან მათთვის ძვირფასი

პატარა მურთაზის

უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა ხუთშაბათს, 8 ოქტომბერს, ს. არგვეთში. 16355

სამტრესტის ღვინომრეწველობის თანამშრომლები: ჭავჭანიძე, ხუნდაძე, ჩოლოყაშვილი, ქელიძე, ინაშვილი, ბერიძე, ხაზიძე, მჭედლიძე, მეჩაბერიძე, თვალიაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ თედო მეჭრელიშვილს მისი ვაჟის

კონსტანტინე (კოკო) მეჭრელიშვილის

უდროოდ გარდაცვალების გამო. 16358

ქ-34 საშუალო სკოლის პედსაბჭო და ადგილკომი იუწყებიან ამავე სკოლის მასწავლებელ მარუსია უშვერიძის შვილის

პატარა ეთერ ნიკოლაიშვილის

უდროოდ დაკარგვას. 16356

დამწუხრებული მშობლები: მიხეილ, ოლინკა, ძმები: ლეო, ირაკლი, დათიკო, დები: ნადია, თამარ კაკაძეები, ბებია ნადია ჩიქობავა, სიძე ვალიკო ტალახაძე იუწყებიან საყვარელი

კ ო ლ ი ა ს

უდროოდ დაკარგვას. 16339

შვილი ნადია, სიძე ნოე, შვილიშვილები: ანიკო, ეთერი, ვაჟა ალექსიძეები იუწყებიან

ქიშვარდი გიორგის-ძე კეკელიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 9 ოქტომბერს 5 ს. პანაშვიდი დღეს 7 ს. ბაქოს, 20. ა. 16375

მშობლები: არსენ, ნინო, და ვენერა, ძმა ვარშენი ცოლით ელენეთი, შვილებით თინიკოთი და ზებიკოთი იუწყებიან დაუვიწყარი ცერიალა პატარა

გოგია თომაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდა ს. კარდანახში. 16368

კოლია ზარანდია, გრიშა ბოძაშვა, ალექსანდრე, ვარლამ, იპოლიტე [illegible], ნესტორ, შუქია, გრიშა [illegible], გრიშა [illegible] ღრმა მწუხარებით გამოთქვამენ ჩვენი ყოფილი მასწავლებლის

იაკობ ტუღუშიავას

გარდაცვალების გამო. 16341

შვილები: მიხეილ, ალექსანდრე, მარიამ, ნიკოლოზ, ირაკლი და გიორგი ცოლ-შვილით, სიძე ნიკოლოზ დალაქიშვილი მწუხარებით იუწყებიან

ესტატე გიორგის-ძე ალექსიძის

გარდაცვალებას. გამოსვენება 8 ოქტომბერს 5 ს. ვაიდისუბნის, 8. 16363

დამწუხრებული მეუღლე ელისაბედ იოაკიმის ასული გულისაშვილისა იუწყება საყვარელი

ილიკო მიხეილის-ძე გულისაშვილის

გარდაცვალებას. გამოსვენება 9 ოქტომბერს, 5 ს. ნინოშვილის, 37. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. პანაშვიდი დღეს 6 ს. 16366

ტფილისის მე-36 საშუალო სკოლის დირექცია და პედკოლექტივი ღრმა მწუხარებით გამოთქვამენ ამავე სკოლის თანამშრომლის სანდრო [illegible] მამის

ლ უ კ ა ს

გარდაცვალების გამო. 16364

დამწუხრებული მშობლები: რისიმი, [illegible], დები: [illegible], ზოია, [illegible] გიორგაძეები იუწყებიან საყვარელი პატარა

ა ზ ა ს

გარდაცვალებას. დაკრძალვა 10 ოქტომბერს ვანში. 16360

მე-52 საშუალო სკოლის ადმინისტრაცია და პედპერსონალი იუწყებიან, რომ ს. ბრძოლაში (გორის რაიონი) 6 ოქტომბერს დაიღუპა მასწავლებელი

ელიკო ბუჩუკაშვილის

სამძ. პანაშვიდი. 16351

შვილი ნინო, სიძე ივანე, შვილიშვილები: მარო, მარუსა, შვილიშვილები: ირაკლი, ნუცა, ელიკო იუწყებიან

ელისაბედ სიმონის-ასულ მამაცაშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა დღეს კუკიის სასაფლაოზე 4 საათ. ს. [illegible] 34. 16357

მისამართები: რედაქციისა — ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი № 16; გამომცემლობისა — რუსთაველის პროსპექტი, № 34. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორისა: 3—62—26; მოადგილეებისა: 3—63—03 და 3—08—67; სამდივნოსი: 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულისა — 3—57—61; სასოფლო . საწარმოო — 3—73—40; მშრომელთა წერილებისა — 3—73—24; გამომცემლობისა — ღამის რედაქტორისა — 3—26—67— ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდება

ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული Ⴂ 8598.